

# ბანკი რესპუბლიკის ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

*2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული  
საანგარიშგებო წლისათვის*

## შინაარსი

### დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

#### კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	1
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება .....	2
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება .....	3
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება .....	4

#### შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე

1. ორგანიზაცია.....	6
2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები .....	6
3. გადაწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები	22
4. სააღრიცხვო პოლიტიკაში შესული ცვლილებები და ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება .....	24
5. ახალი სააღრიცხვო განაცხადები.....	24
6. რეკლასიფიკაცია.....	26
7. წმინდა საპროცენტო შემოსავალი .....	27
8. გაუფასურების ზარალის რეზერვები და სხვა ანარიცხვები .....	27
9. სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ნამეტი შემოსავალი.....	28
10. გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი და ხარჯი .....	28
11. სხვა შემოსავალი .....	29
12. საოპერაციო ხარჯები.....	30
13. მოგებიდან გადასახადები .....	30
14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	32
15. სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში .....	32
16. მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ .....	32
17. კლიენტებზე გაცემული სესხები .....	32
18. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები .....	37
19. ძირითადი საშუალებები .....	39
20. საინვესტიციო ქონება .....	40
21. სხვა აქტივები.....	41
22. ბანკის ანაზრები.....	42
23. კლიენტების ანაზრები.....	42
24. ნასესხები სახსრები.....	43
25. სხვა ვალდებულებები .....	43
26. სუბორდინირებული ვალი.....	44
27. კაპიტალი .....	44
28. პირობითი ვალდებულებები.....	46
29. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....	48
30. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება.....	51
31. კაპიტალთან დაკავშირებული რისკის მართვა .....	58
32. რისკის მართვის პოლიტიკა .....	59
34. შემდგომი მოვლენები.....	82

## დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

სს ბანკი რესპუბლიკის აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

### **ჩვენი მოსაზრება**

ვფიქრობთ, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა მატერიალურ ასპექტში, საკმაოდ კარგად წარმოაჩენს სს ბანკი რესპუბლიკის („ბანკი“) და მისი ფილიალების (ერთად - „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ პოზიციას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე, კარგად აჩვენებს ბანკის ფინანსურ საქმიანობას და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს საანგარიშგებო წლის განმავლობაში საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

### **ჩვენს მიერ შემოწმებული სფეროები**

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები შეიცავს შემდეგ საკითხებს:

- ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება დასრულებული წლისათვის;
- კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება დასრულებული წლისათვის;
- ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება დასრულებული წლისათვის და
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები, რომლებიც მოიცავს მნიშვნელოვან საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკას და სხვა განმარტებითი ხასიათის ინფორმაციას.

### **მოსაზრების საფუძველი**

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტების ფარგლებში, ჩვენი, როგორც აუდიტორების პასუხისმგებლობების სფერო დამატებით აღწერილია ანგარიშის ერთ-ერთ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში“.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულება სრულიად საკმარისია და სათანადო ჩვენი მოსაზრების დასასაბუთებლად.

### **დამოუკიდებლობა**

ჩვენ ვართ სრულიად დამოუკიდებელი „ჯგუფისაგან“ და ვიცავთ საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსს“ (IESBA Code). გარდა ამისა, დავიცავით სხვა ეთიკური პასუხისმგებლობებიც აღნიშნული კოდექსის შესაბამისად.

### **საყურადღებო საკითხი**

გვსურს ხაზი გავუსვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მე-3 შენიშვნას, სადაც აღნიშნულია, რომ სს ბანკი რესპუბლიკა გაერთიანდება სს თიბისი ბანკთან. იგეგმება ყველა აქტივის, პასივის და ბანკის ოპერაციების გადატანა სს თიბისი ბანკის კონტროლის ქვეშ. სს ბანკი რესპუბლიკა შეწყვეტს არსებობას როგორც ცალკე იურიდიული სუბიექტი. ჩვენი მოსაზრება არ არის კვალიფიციური ამ საკითხთან მიმართებაში.

### **ხელმძღვანელობის და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების მმართველი პირების პასუხისმგებლობები**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ასევე, შიდა კონტროლის სისტემაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა ჩათვლის საჭიროდ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. ანგარიშგება აუცილებელია იყოს ზუსტი და არ შეიცავდეს რაიმე სახის მატერიალურ უზუსტობას, იქნება ეს განზრახ გაკეთებული თუ შეცდომა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს ჯგუფის შესაძლებლობა საქმიანობის უწყვეტობის კუთხით, გაამყდევოს ისეთი საკითხები, რომლებიც საქმიანობის უწყვეტობასთან არის დაკავშირებული და გამოიყენოს უწყვეტ საქმიანობაზე დაფუძნებული საბუღალტრო აღრიცხვა, თუ ხელმძღვანელობა არ გეგმავს ჯგუფის ლიკვიდაციას, ოპერაციების შეწყვეტას ან არ აქვს რაიმე რეალისტური ალტერნატივა ამ მიზნით.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან თვალყური ადევნონ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში**

ჩვენი ამოცანაა მოვიპოვოთ გონივრული მტკიცებულება იმის თაობაზე, თუ რამდენად არის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგები თავისუფალი მატერიალური უზუსტობისაგან; ხომ არ აქვს ადგილი თაღლითურ, გამიზნულ შეცდომას ან უბრალოდ მექანიკურ შეცდომას და საბოლოოდ, გამოვცეთ აუდიტორის ანგარიში, სადაც ჩვენი მოსაზრება იქნება წარმოდგენილი. გონივრული მტკიცებულება არის მაღალი დონის მტკიცებულება, თუმცა ეს არ არის გარანტია, რომ აუდიტი, რომელიც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარდა, ყოველთვის გამოავლენს მატერიალურ უზუსტობას, ამგვარის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობის მიზეზი შეიძლება იყოს თაღლითობა ან მექანიკური შეცდომა; უზუსტობა ითვლება მატერიალური ხასიათის უზუსტობად, თუ ცალკე აღებული ან აგრეგირებული ფორმით, იგი გავლენას ახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომელთაც ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე იღებენ.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს მთელი პროცესის განმავლობაში, ამასთან, ჩვენი მიზანია:

- გამოვავლინოთ და შევაფასოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მატერიალურ უზუსტობებთან დაკავშირებული რისკები; რამდენად არის ეს უზუსტობა განზრახ გაკეთებული თუ უბრალოდ შეცდომა; ვგეგმავთ და ვახორციელებთ აუდიტის პროცედურებს, რომლებიც აღნიშნულ რისკებზეა მიმართული და მოვიპოვებთ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისია და სათანადოა ჩვენი მოსაზრების, დასკვნის დასასაბუთებლად. რისკი იმისა, რომ თაღლითობის შედეგად წარმოშობილი მატერიალური უზუსტობის გამოვლენას ვერ შევძლებთ უფრო მაღალია, ვიდრე უბრალოდ მექანიკური შეცდომით გამოწვეული შეცდომის გამოვლენა, რადგან თაღლითობის მცდელობა გულისხმობს საიდუმლო შეთანხმებას, დოკუმენტების გაყალბებას, განზრახ მონაცემების გამოტოვებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის გადამეტებას.
- შევქმნათ შიდა კონტროლის შესახებ სურათი აუდიტთან მიმართებაში, რათა შევიმუშაოთ აუდიტის პროცედურები კონკრეტულ სიტუაციასთან და გარემოებებთან დაკავშირებით, თუმცა არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობის შესახებ.
- შევაფასოთ საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის სათანადოობა, საბუღალტრო გათვლების გონივრულობა და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული შესაბამისი ფინანსური ინსტრუმენტები.
- მოვამზადოთ დასკვნა, თუ ხელმძღვანელობა რამდენად სათანადოდ იყენებს საქმიანობის უწყვეტობაზე დაფუძნებულ ბუღალტრულ აღრიცხვას და მოპოვებული აუდიტის მტკიცებულების საფუძველზე, რამდენად არსებობს მატერიალური უზუსტობა მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებით, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა. თუ დავასკვნით, რომ არსებობს მატერიალური უზუსტობა, მოგვეთხოვება ყურადღების გამახვილება აუდიტორის ანგარიშში მივუთითოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებებში წარმოდგენილ შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტებზე ან თუ ამგვარი ინსტრუმენტები არაადეკვატურია, შევცვალოთ ჩვენი მოსაზრება. დასკვნები ყოველთვის დაფუძნებულია შემოწმების პროცესში აუდიტორის ანგარიშგების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებაზე. თუმცა, მომავალში შეიძლება აღმოჩნდეს მოვლენები ან გარემოებები, რომელთა გამოც ჯგუფს მოუწევს საქმიანობის შეწყვეტა.
- შევაფასოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების საერთო სტრუქტურა, ფორმა და შინაარსი, მათ შორის, ფინანსური ინსტრუმენტები და ის, თუ რამდენად არის კონსოლიდირებულ ფინანსურ

ანგარიშგებებში შესაბამისი ტრანზაქციები და მოვლენები წარმოდგენილი ისეთი ფორმით, რაც უზრუნველყოფს სამართლიან პრეზენტაციას.

- მოვიპოვოთ საკმარისი მტკიცებულება კომპანიების ფინანსური ინფორმაციის შესახებ ან ჯგუფის ბიზნეს აქტივობების შესახებ, რათა შევძლოთ მოსაზრების მომზადება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებით. ჩვენ, როგორც აუდიტორებს პასუხისმგებლობა გვაკისრია ჯგუფური აუდიტის ჩატარებაზე, მიმართულებაზე და ზედამხედველობაზე. ვიღებთ სრულ პასუხისმგებლობას ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებაზე.

ჯგუფის მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებთან ვინარჩუნებთ მუდმივ კომუნიკაციას; მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორცაა აუდიტის დაგეგმილი მასშტაბი, დრო და აუდიტის მნიშვნელოვანი მიგნებები; ნებისმიერი მნიშვნელოვანი შეუსაბამობა შიდა კონტროლის სისტემაში, რომელთაც აუდიტს პროცესში გამოვავლენთ.

თბილისი, საქართველო  
5 მაისი, 2017 წ.

**მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება**

**2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის**

(ათას ლარში)

	<i>შენიშვნა</i>	<b>2016</b>	<b>2015</b>
საპროცენტო შემოსავალი	7	175,965	144,414
საპროცენტო ხარჯი	7	(63,499)	(48,694)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი პროცენტთან აქტივების გაუფასურების ზარალის ანარიცხების აღდგენამდე/ (დარიცხვამდე)</b>		<b>112,466</b>	<b>95,720</b>
პროცენტური აქტივების გაუფასურების ზარალის ანარიცხების აღდგენა/(დარიცხვა)	8	(19,866)	(15,479)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>92,600</b>	<b>80,241</b>
სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ნამეტი შემოსავალი	9	20,145	16,900
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	10	17,982	17,064
საკომისიო ხარჯი	10	(7,819)	(6,618)
ანარიცხები და სხვა ოპერაციები	8	(117)	(1,518)
მეკავშირე საწარმოს მოგების წილი	11	8,405	8,199
<b>წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი</b>		<b>38,596</b>	<b>34,027</b>
საოპერაციო შემოსავალი გაუფასურების შემდეგ ანარიცხებისაგან		<b>131,197</b>	<b>114,268</b>
საოპერაციო ხარჯები	12	(62,930)	(57,923)
<b>მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე</b>		<b>68,267</b>	<b>56,345</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	13	(3,210)	(7,533)
<b>წმინდა მოგება პერიოდის განმავლობაში</b>		<b>65,057</b>	<b>48,812</b>
<i>სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც ხდება</i>			
გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების არარეალიზებული მოგება/(ზარალი)		(2,887)	2,887
მოგების გადასახადით დაბეგვრის გავლენა	13	433	(433)
<b>წმინდა სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიცირებაც ხდება</b>		<b>(2,454)</b>	<b>2,454</b>
<i>სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება</i>			
ქონების გადაფასების შედეგად მიღებული წმინდა მოგება		-	4,021
მოგების გადასახადით დაბეგვრის გავლენა	13	3,315	(603)
<b>წმინდა სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება:</b>		<b>3,315</b>	<b>3,418</b>
წლის სხვა სრული შემოსავალი, წმინდა		861	5,872
<b>წლის მთლიანი სრული შემოსავალი</b>		<b>65,918</b>	<b>54,684</b>

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ 2017 წლის 5 მაისს.

ნიკოლოზ ქურდიანი  
აღმასრულებელი დირექტორი

ქეთევან თევზაძე  
ფინანსური დირექტორი

**ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება**

**2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის**

(ათას ლარში)

	<i>შენიშვნა</i>	<b>31 დეკემბერი, 2016</b>	<b>31 დეკემბერი, 2015</b>
<b>აქტივები</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	235,865	178,676
სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში		131,133	
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	15		79,279
კლიენტებზე გაცემული სესხები	16	9,937	6,720
	17	1,426,462	1,184,096
<b>საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:</b>	18		
- გასაყიდად გამიზნული		54	2,995
- სესხები და მისაღები ანგარიშები		147,934	43,942
- დაფარვის ვადამდე ფლობილი		-	40,685
- გამოსყიდვის ხელშეკრულებაში მონაწილე ძირითადი საშუალებები	19	57,275	58,569
არამატერიალური აქტივები		4,856	6,854
საინვესტიციო ქონება	20	28,558	22,118
სხვა ფინანსური აქტივები	21	6,315	1,330
სხვა აქტივები	21	7,820	7,296
<b>სულ აქტივები</b>		<b>2,056,209</b>	<b>1,661,199</b>
<b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>			
<b>ვალდებულებები</b>			
ბანკების ანაზრები	22	273,447	149,905
კლიენტების ანაზრები	23	813,821	729,291
ანარიცხები	8	1,489	1,748
შემოსავლის გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	13	3,812	12,412
შემოსავლის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		2,099	1,985
ნასესხები სახსრები	24	612,506	468,708
	<b>Error! Reference source not found.</b>	22,898	4,348
სხვა ფინანსური ვალდებულებები	25	3,195	4,078
სუბორდინირებული ვალი	26	17,029	31,729
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>1,750,296</b>	<b>1,404,204</b>
<b>კაპიტალი</b>	27		
საწესდებო კაპიტალი		76,031	76,031
დამატებითი შენატანები კაპიტალში		39,914	39,914
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		21,902	18,587
გაუნაწილებელი მოგება		168,066	120,009

6-64 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

**ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება**

**2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის**

(ათას ლარში)

გასაყიდად გამოზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების არარეალიზებული მოგება/(ზარალი)	-	2,454
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>305,913</b>	<b>256,995</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>	<b>2,056,209</b>	<b>1,661,199</b>

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ 2017 წლის 5 მაისს.

**ნიკოლოზ ქურდიანი**

აღმასრულებელი დირექტორი

**ქეთევან თევზაძე**

ფინანსური დირექტორი

	საწესდებო შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დამატე- ბითი შენატა- ნები კაპი- ტალში	ძირითადი საშუალო- ბების გადაფა- სების რეზერვი	გაუნაწი- ლებელი მოგება	არარეალი- ზებული მოგება/ ზარალი გასაყიდად გამოზნული საინვეს- ტიციო ფასიანი ქაღალდე- ბიდან	სულ კაპიტალი
<b>1 იანვარი, 2015</b>		<b>76,031</b>	<b>39,914</b>	<b>15,887</b>	<b>70,479</b>	-	<b>202,311</b>
მოგება პერიოდის განმავლობაში დაბეგრული სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	48,812	-	48,812
2015 წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	3,418	-	2,454	5,872
		-	-	3,418	48,812	2,454	54,684
ქონების გადაფასების რეზერვის ცვეთა, მოგების გადასახადის გათვალისწინებით		-	-	(718)	718	-	-
<b>31 დეკემბერი, 2015 წ.</b>		<b>76,031</b>	<b>39,914</b>	<b>18,587</b>	<b>120,009</b>	<b>2,454</b>	<b>256,995</b>
წლის მოგება სხვა დაბეგრული სრული შემოსავალი		-	-	-	65,057	-	65,057
2016 წლის სრული შემოსავალი		-	-	3,315	-	(2,454)	861
		-	-	3,315	65,057	(2,454)	65,918

6-64 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ათას ლარში)

დეკლარირებული დივიდენდი	25	-	-	-	(17,000)	-	(17,000)
<b>31 დეკემბერი, 2016 წ.</b>		<b>76,031</b>	<b>39,914</b>	<b>21,902</b>	<b>168,066</b>	<b>-</b>	<b>305,913</b>

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ 2017 წლის 5 მაისს.

ნიკოლოზ ქურდიანი  
აღმასრულებელი დირექტორი

ქეთევან თევზაძე  
ფინანსური დირექტორი

**ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება**

**2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის**

(ათას ლარში)

	შენიშვნა	დასრულებული წელი	დასრულებული წელი
		31 დეკემბერი, 2016 წ.	31 დეკემბერი, 2016 წ.
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>			
მიღებული პროცენტი		176,141	138,790
გადახდილი პროცენტი		(61,234)	(49,361)
მიღებული საკომისიო		17,982	17,069
გადახდილი საკომისიო		(7,818)	(6,618)
გაუფასურებული აქტივის აღდგენა		1,840	-
სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული რეალიზებული ნამეტი შემოსავალი		17,050	12,796
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი		1,238	3,223
გადახდილი საოპერაციო ხარჯი		(55,916)	(52,199)
<b>შემომავალი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>		<b>89,283</b>	<b>63,700</b>
<b>ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში</b>			
<i>საოპერაციო აქტივების (ზრდა)/კლება</i>			
სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები სებ-ში		(51,088)	(20,204)
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		(3,150)	(1,392)
კლიენტებზე გაცემული სესხები		(257,404)	(309,688)
სხვა აქტივები		(10,435)	842
<i>საოპერაციო ვალდებულებების ზრდა/(კლება)</i>			
ბანკების ანაზრები		123,845	63,830
კლიენტების ანაზრები		82,030	105,605
სხვა ვალდებულებები		487	(892)
<b>საოპერაციო საქმიანობიდან დასაბეგრი ფულადი ნაკადების გადინება</b>		<b>(26,432)</b>	<b>(98,199)</b>
მოგების გადახდილი გადასახადი		(8,515)	(6,767)
<b>საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი ნაკადების გადინება</b>		<b>(34,947)</b>	<b>(104,966)</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>			
ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებში			
გადახდილი თანხები		(3,731)	(6,172)
მიღებული დივიდენდები		244	129
შემოსავალი საინვესტიციო ქონების იჯარიდან		1,925	860
საინვესტიციო ქონების შესყიდვა		-	(3,341)
საინვესტიციო ქონების გასხვისებით მიღებული შემოსავალი	20	3,492	4,215
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან შემოსულობა		83,384	45,754
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გასხვისებით მიღებული შემოსავალი		3,481	-
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა		(120,850)	(74,561)
<b>წმინდა ფულადი ნაკადების გადინება საინვესტიციო საქმიანობის შედეგად</b>		<b>(32,055)</b>	<b>(33,116)</b>

6-64 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

**ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება (გაგრძელება)**

	შენიშვნები	დასრულებული წელი	დასრულებული წელი
		31 დეკემბერი, 2016 წ.	31 დეკემბერი, 2015 წ.
<b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>			
ნასესხები სახსრების დაფარვა		(66,673)	(98,276)
ნასესხები სახსრებიდან შემოსული თანხები		205,125	315,840
მიღებული სუბორდინირებული ვალი		16,830	-
სუბორდინირებული ვალის დაფარვა		(31,729)	(2,736)
<b>ფინანსური საქმიანობიდან წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება</b>		<b>123,553</b>	<b>214,828</b>
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი სახსრების ნაშთზე		638	1,463
<b>ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა</b>		<b>57,189</b>	<b>78,209</b>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	14	178,676	100,467
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>	14	<b>235,865</b>	<b>178,676</b>

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ 2017 წლის 5 მაისს.

ნიკოლოზ ქურდიანი  
აღმასრულებელი დირექტორი

ქეთევან თევზაძე  
ფინანსური დირექტორი

6-64 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში)

## 1. ორგანიზაცია

სააქციო საზოგადოება „ბანკი რესპუბლიკა“ (შემდგომში „ბანკი“) არის სააქციო კომერციული ბანკი, რომელიც 1992 წელს დაფუძნდა საქართველოში. ბანკი იმართება საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში „სებ“) მიერ და თავის საქმიანობას ახორციელებს საბანკო საქმიანობის #5 ზოგადი ლიცენზიის საფუძველზე. ბანკის ძირითადი საქმიანობაა კომერციული ოპერაციები, სესხებისა და გარანტიების გაცემა, კლიენტების ანაზღაურების მოზიდვა, ფასიანი ქაღალდებითა და უცხოური ვალუტით ვაჭრობა.

ბანკის იურიდიული მისამართია გრიგოლ აბაშიძის ქ. 2, 0179, თბილისი, საქართველო.

2016 და 2015 წლის 31 დეკემბრისთვის საქართველოში ფუნქციონირებდა ბანკის 8 ფილიალი და 33 სერვის ცენტრი.

ბანკი არის მშობელი კომპანია ჯგუფისა (შემდგომში „ჯგუფი“), რომელიც შედგება ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდირებული შემდეგი საწარმოებისგან:

სახელწოდება	საქმიანობის ქვეყანა	წილობრივი მონაწილეობა/ხმის უფლების განაწილება (%)		საქმიანობის ტიპი
		2016	2015	
სს „ბანკი რესპუბლიკა“	საქართველო	მშობელი კომპანია		საბანკო საქმიანობა
შპს „პირველი მერცხალი“	საქართველო	100%	100%	საოპერაციო იჯარა

2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის გამოშვებულ აქციებს შემდეგი აქციონერები ფლობდნენ:

აქციონერები	31 დეკემბერი, 2016 წ., %	31 დეკემბერი, 2015 წ., %
სს „თიბისი ბანკი“	100%	-
ჯგუფი „სოსიეტე ჟენერალი“	-	93.64%
ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD)	-	6.36%
<b>სულ</b>	<b>100.00%</b>	<b>100.00%</b>

„ჯგუფის“ საბოლოო მშობელი კომპანია 2016 წლის 31 დეკემბრისათვის არის „თიბისი ბანკის ჯგუფი“, რომლის იურიდიული მისამართია: სანტ ენდრიუს ქ. #6, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი, საფოსტო კოდი: EC4A3AE. „თიბისი ჯგუფის“ რეგისტრაციის ნომერია: 10029943. 2015 წლის 31 დეკემბრამდე, „ჯგუფის“ საბოლოო მშობელი კომპანია იყო ჯგუფი „სოსიეტე ჟენერალი“, ტურ სოსიეტე ჟენერალე, ლა დიფენს, პარიზი (92972 Cedex).

2016 წლის 31 დეკემბრისათვის და 2015 წლის 31 დეკემბერს, „ჯგუფს“ საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არ ჰყავდა.

## 2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

### შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

(ათას ლარში)

## 2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

### შესაბამისობის დეკლარაცია (გაგრძელება)

ინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის მეთოდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამართლიანი ღირებულებით შეფასდა გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები და საინვესტიციო ქონება და გადაფასდა მიწა და შენობა-ნაგებობები, რაც განმარტებულია ქვემოთ, სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში. პირვანდელი ღირებულება, როგორც წესი, ეყრდნობა აქტივის სანაცვლოდ გაღებული საზღაურის სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის, იმისდა მიუხედავად, ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადია, თუ შეფასების სხვა მეთოდით არის განსაზღვრული. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას ჯგუფი იმ შემთხვევაში ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების თავისებურებებს, თუკი ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ამ თავისებურებებს შეფასების თარიღისთვის აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასების და/ან გაცხადების მიზნებისთვის სამართლიანი ღირებულება ანალოგიურად განისაზღვრება.

ამასთან, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, სამართლიანი ღირებულების შეფასება დაყოფილია 1-ლი, მე-2 და მე-3 დონეებად იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არის მათი სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებაში მონაწილე მონაცემები დაკვირვებადი და, მთლიანობაში, რამდენად მნიშვნელოვანია ეს მონაცემები მათი სამართლიანი ღირებულების გასაანგარიშებლად. აღნიშნული დონეები განმარტებულია ქვემოთ.

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ბანკი და მასთან კონსოლიდირებული კომპანიები დარეგისტრირებული არიან საქართველოში და ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ საქართველოს კანონის შესაბამისად. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული სააღრიცხვო ჩანაწერების საფუძველზე და დაკორექტირებულია ფასს-თან შესაბამისობაში მოსაყვანად.

ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში მუხლების თანმიმდევრულობა მოცემულია ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მიმდინარე) და ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების თარიღიდან 12 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში (გრძელვადიანი) დავალიანების ამოღებისა და ანგარიშსწორების ოპერაციების ანალიზი წარმოდგენილია 32-ე შენიშვნაში.

### სამუშაო ვალუტა

ჯგუფის თითოეული სამეურნეო ერთეულის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები ფასდება იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, რომელშიც ეს სამეურნეო ერთეული საქმიანობს (შემდგომში „სამუშაო ვალუტა“). ჯგუფის მშობელი კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ლარი. ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ.

(ათას ლარში)

## 2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

### კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ბანკის, ბანკის კონტროლს დაქვემდებარებული სამეურნეო ერთეულებისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ბანკს:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

ბანკი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები მომხდარი.

როდესაც ბანკი ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, ბანკის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, ბანკი ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ბანკის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაბნევასთან შედარებით;
- ბანკის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციული ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ ბანკს ამყარებს აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ბანკი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ბანკი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შექმნილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც ბანკი იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც ბანკის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

### შემოსავლის აღიარება

#### საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

ფინანსური აქტივიდან საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მისგან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შემოსავლის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (მათ შორის ყველა გადახდილი ან მიღებული გასამრჯელო, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, გარიგების დანახარჯები და სხვა პრემიები თუ დისკონტები) დისკონტირებას სავალო ინსტრუმენტის მოქმედების მოსალოდნელ ვადაზე ან (საჭიროების შემთხვევაში) უფრო ხანმოკლე ვადაზე, თავდაპირველი აღიარებისას დაფიქსირებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

(ათას ლარში)

## 2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

### შემოსავლის აღიარება (გაგრძელება)

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი მათი გაუფასურების ზარალის გამო მთლიანად (ან ნაწილობრივ) ჩამოიწერება, ხდება საპროცენტო შემოსავლის აღიარება იმ საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გამოიყენება გაუფასურების ზარალის შეფასების მიზნით სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისათვის.

*გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან მიღებული შემოსავლის აღიარება*

სესხის გაცემის საკომისიოს გადავადდება მასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებთან ერთად და ხდება მისი აღიარება სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირების სახით. თუ მოსალოდნელია, რომ სესხის გაცემის ვალდებულება შედეგად გამოიღებს კონკრეტულ საკრედიტო შეთანხმებას, სესხის გაცემის ვალდებულების საკომისიო გადავადდება მასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებთან ერთად და ხდება მისი აღიარება აღნიშნული კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირების სახით. თუ მოსალოდნელი არ არის, რომ სესხის გაცემის ვალდებულება კონკრეტულ საკრედიტო შეთანხმებას განაპირობებს, ხდება სესხის გაცემის ვალდებულების საკომისიოს აღიარება სესხის გაცემის ვალდებულების დარჩენილი პერიოდის მოგებაში ან ზარალში. თუ სესხის გაცემის ვალდებულების ვადა სესხის გაუცემლად ამოიწურება, სესხის გაცემის ვალდებულების საკომისიო ვადის გასვლისთანავე აღირიცხება მოგებაში ან ზარალში. სესხის მომსახურების ღირებულების აღიარება ხდება შემოსავლად მომსახურების გაწევისთანავე. სესხის სინდიცირების საკომისიოს აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, სინდიცირების დასრულებისთანავე.

ყველა დანარჩენი საკომისიოს აღიარება ხდება მომსახურებების გაწევისთანავე.

*დივიდენდის სახით მიღებული შემოსავლის აღიარება*

ინვესტიციებიდან დივიდენდის სახით მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც აქციონერს განესაზღვრება დივიდენდის მიღების უფლება (თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შემოსავლის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი).

### საიჯარო შემოსავლის აღიარება

ჯგუფის, როგორც მეიჯაროს პოლიტიკა შემოსავლის აღიარებასთან მიმართებაში მოცემულია მუხლში სახელწოდებით „იჯარა“.

### ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს თავის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება ანგარიშსწორების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე არის აღიარებული მოგებაში ან ზარალში.

*(ათას ლარში)***2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)****ფინანსური აქტივები**

ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებად, გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად, და სესხებად და მისაღებ ანგარიშებად. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

*სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური აქტივები*

ფინანსური აქტივები მიეკუთვნება „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახულის“ კატეგორიას მაშინ, თუ ფინანსური აქტივის ფლობის მიზანია მისით ვაჭრობა ან თუ ფინანსური აქტივის დანიშნულებაა სამართლიანი ღირებულებით შეფასება და მოგებაში ან ზარალში ასახვა.

ფინანსური აქტივი „ვაჭრობისთვის გამიზნულის“ კატეგორიას მიეკუთვნება, თუ:

- მისი შემენის ძირითადი მიზანი უახლოეს მომავალში მის გაყიდვაა; ან
- პირველადი აღიარებისას ის შედის გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელში, რომლებსაც ჯგუფი ერთობლივად მართავს და რომლებიც წარსულში მოკლევადიანი მოგების მისაღებად გამოიყენება; ან
- არის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გამიზნული ჰეჯირებისთვის და არ არის ეფექტური, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტი.

ვაჭრობისთვის განკუთვნილი ფინანსური აქტივების გარდა, ფინანსური აქტივი შეიძლება თავდაპირველი აღიარებისას მიეკუთვნოს სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახულის კატეგორიას, თუ:

- ამგვარი მიკუთვნება აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად ამცირებს შეფასების ან აღიარების არათანმიმდევრულობას, რაც სხვა შემთხვევაში იარსებებდა; ან
- ფინანსური აქტივი არის ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის, ან ორივეს ნაწილი, რომელიც იმართება და ფასდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, ჯგუფის დოკუმენტირებული რისკის მართვის ან ინვესტირების სტრატეგიის შესაბამისად, და დაჯგუფების შეახებ ინფორმაციის წარდგენა ჯგუფის შიგნით ხდება ამის საფუძველზე; ან
- არის ერთი ან ერთზე მეტი ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის შესახებ კონტრაქტის ნაწილი და ბასს (IAS) 39-ით „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ ნებადართულია მთლიანი ნაერთი კონტრაქტის (აქტივი ან ვალდებულება) მიკუთვნება „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახულის“ კატეგორიისთვის.

ფინანსური აქტივები, რომლებიც მიკუთვნებულია „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახულის“ კატეგორიისთვის აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო გადაფასებისას მიღებული ნამეტი შემოსავალი ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ნამეტი შემოსავლობა ან ზარალი მოიცავს ფინანსურ აქტივზე მიღებულ ყველა დივიდენდს და პროცენტს და შედის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების „სხვა შემოსავლისა და ზარალის“ და „საპროცენტო შემოსავლის“ მუხლებში, შესაბამისად.

*დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები*

დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც აქვთ ფიქსირებული ან განსაზღვრადი დაფარვების გრაფიკი და ფიქსირებული ვადა, და ჯგუფს აქვს დაფარვის ვადამდე მათი ფლობის სურვილი და შესაძლებლობა. დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეფასება ხორციელდება ამორტიზებადი ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით.



(ათას ლარში)

## 2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

### ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

თუ ჯგუფს მოუხდება დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების უმნიშვნელო ოდენობაზე მეტის ვადამდე გაყიდვა ან რეკლასიფიცირება (გარდა გარკვეული 2. სპეციფიკური გარემოებებისა), მთლიანი კატეგორია შეილახება და საჭირო გახდება რეკლასიფიცირება „გასაყიდად გამიზნულის“ კატეგორიაში. ამასთან, ჯგუფს აკრძალება დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივის კლასიფიცირება მიმდინარე ფინანსური წლისა და მომდევნო ორი ფინანსური წლის განმავლობაში.

#### გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები არაწარმოებული აქტივებია, რომლებიც ან „გასაყიდად გამიზნულის“ კატეგორიაშია, ან არ არის კლასიფიცირებული, როგორც (ა) სესხები და მისაღები ანგარიშები, (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ან (გ) სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული.

ჯგუფს ინვესტიცია აქვს განხორციელებული არაკოტირებულ აქციებში, რომლებითაც ვაჭრობა აქტიურ ბაზარზე არ ხდება და ისინი განეკუთვნება გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების კატეგორიას.

გასაყიდად გამიზნული კაპიტალის ინვესტიციები, რომლებსაც არ აქვთ კოტირებული საბაზრო ფასი აქტიურ ბაზარზე და რომელთა სამართლიანი ღირებულების სათანადო სიზუსტით შეფასება შეუძლებელია, ფასდება თვითღირებულებით, რასაც ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აკლდება გამოვლენილი გაუფასურების ზარალი.

### ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებოდ მიეთითება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

### ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივების ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

„გასაყიდად გამიზნულის“ კატეგორიაში მოხვედრილი არაკოტირებული კაპიტალის ინვესტიციების შემთხვევაში, გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებად ჩაითვლება ფასიანი ქაღალდის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი კლება.

(ათას ლარში)

## 2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

### ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

ყველა დანარჩენი ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება იქნება:

- ემიტენტის ან კონტრაქტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- კონტრაქტის პირობების დარღვევა, როგორცაა ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების გამო.

ფინანსური აქტივების გარკვეული კატეგორიები, მაგალითად სესხები და მისაღები ანგარიშები, ასევე აქტივები, რომელთა ინდივიდუალური გაუფასურებაც შეფასებამ არ გამოავლინა, დამატებით, კოლექტიურადაც ფასდება გაუფასურების დასადგენად. სესხებისა და მისაღები ანგარიშების პორტფელის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება შეიძლება ასევე იყოს წარსულში ჯგუფის მიერ დავალიანების ამოღების გამოცდილება, პორტფელში დაგვიანებული გადახდების რაოდენობის ზრდა, ასევე ქვეყნის მასშტაბით ან ადგილობრივ ეკონომიკურ პირობებში მომხდარი დაკვირვებადი ცვლილებები, რომლებიც კორელაციაშია დებიტორული დავალიანების გადაუხდელობასთან.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ასეთი გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდებში არ შეზღუდდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით ყველა ფინანსური აქტივის შემთხვევაში. გამონაკლისია სესხები და მისაღები ანგარიშები, რომელთა შემთხვევაშიც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სესხი ან დებიტორული დავალიანება უიმედოდ ჩაითვლება, ის ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას, უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი შეზღუდდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შეზღუდვის თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზებულ ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

### რესტრუქტურული სესხები

საჭიროების შემთხვევაში ჯგუფი ახდენს სესხების რესტრუქტურულიზაციას ნაცვლად იმისა, რომ დაისაკუთროს უზრუნველყოფის საგანი. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს დაფარვის პირობების გაუმჯობესებას და სესხის ახალი პირობების შეთანხმებას. პირობების გადასინჯვის შემდეგ ნებისმიერ გაუფასურება ფასდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, პირობების გადასინჯვამდე გაანგარიშების ანალოგიურად, და სესხი აღარ ჩაითვლება ვადაგადაცილებულად. ხელმძღვანელობა მუდმივად ახდენს რესტრუქტურული სესხების მონიტორინგს, რათა დარწმუნდეს რომ შესრულებულია ყველა პირობა და სამომავლო დაფარვები მოსალოდნელია. გაუფასურებასთან მიმართებაში სესხები კვლავაც ფასდება ინდივიდუალურად ან კოლექტიურად და შეფასებისთვის გამოიყენება სესხის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

(ათას ლარში)

## 2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

### ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

*ჩამოწერილი სესხები და ავანსები*

სესხები და ავანსები ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის დანაკარგებიდან, როდესაც უიმედოდ ჩაითვლება. სესხები და ავანსები ჩამოიწერება მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა ამოწურავს ჯგუფის მიმართ არსებული დავალიანების ამოღების ყველა შესაძლებლობას. ჩამოწერილი თანხების აღდგენა აისახება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღდგენის პერიოდში ფინანსური აქტივების გაუფასურების დანარჩენიდან გაქვითვის სახით.

*ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა*

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. თუ ჯგუფი არც გადაცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, ჯგუფი აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ ჯგუფი ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, ჯგუფი აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული თანხებისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას და დებიტორულ დავალიანებასა და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების არასრულად შეწყვეტის შემთხვევაში (მაგ. როდესაც ჯგუფი იტოვებს გადაცემული აქტივის ნაწილის გამოსყიდვის უფლებას), ჯგუფი ფინანსური აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებას გადაანაწილებს იმ ნაწილზე, რომელში მონაწილეობის შენარჩუნებასაც აღიარებს, და იმ ნაწილზე, რომელსაც აღარ აღიარებს, გადაცემის თარიღისთვის მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების მიხედვით. აღიარებაშეწყვეტილი ნაწილისთვის მიკუთვნებულ საბალანსო ღირებულებასა და აღიარებაშეწყვეტილ ნაწილში მიღებული საზღაურისა და მასზე განაწილებული და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი ნამეტი შემოსავლის ან ზარალის ჯამს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ნაწილდება იმ ნაწილს, რომლის აღიარებაც გრძელდება და აღიარებაშეწყვეტილ ნაწილს შორის მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების მიხედვით.

### ფინანსური ვალდებულებები და გამომწვეული წილობრივი ინსტრუმენტები

*მოზიდულ და საკუთარ კაპიტალად კლასიფიცირება*

ჯგუფის საწარმოს მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულება ან როგორც კაპიტალი, სახელშეკრულებო პირობებისა და ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებების მიხედვით.

*წილობრივი ინსტრუმენტები*

წილობრივი ინსტრუმენტი არის კონტრაქტი, რომლითაც დასტურდება ნარჩენი ინტერესი საწარმოს აქტივში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. ჯგუფის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების აღიარება ხდება მიღებული საზღაურის ოდენობით, რასაც აკლდება გამომწვევასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები.

*ფინანსური ვალდებულებები*

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება ხდება ან „სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ“ ფინანსურ ვალდებულებებად, ან „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“.

*სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები*

(ათას ლარში)

## 2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება) ფინანსური ვალდებულებები და გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები მიეკუთვნება „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახულის“ კატეგორიას მაშინ, თუ ფინანსური ვალდებულების ფლობის მიზანია მისით ვაჭრობა ან თუ მისი დანიშნულებაა სამართლიანი ღირებულებით შეფასება და მოგებაში ან ზარალში ასახვა.

ფინანსური ვალდებულება „ვაჭრობისთვის გამიზნული“ კატეგორიას მიეკუთვნება, თუ:

- ვალდებულების აღება მოხდა ძირითადად მისი უახლოეს მომავალში გადაყიდვის მიზნით; ან
- პირველად აღიარებისას ის შედის გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელში, რომლებსაც ჯგუფი ერთობლივად მართავს და რომლებიც წარსულში მოკლევადიანი მოგების მისაღებად გამოიყენება; ან
- არის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გამიზნული ჰეჯირებისთვის და არ არის ეფექტური, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტი.

ვაჭრობისთვის განკუთვნილი ფინანსური ვალდებულების გარდა, ფინანსური ვალდებულება შეიძლება თავდაპირველი აღიარებისას მიეკუთვნოს სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახულის კატეგორიას, თუ:

- ამგვარი მიკუთვნება აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად ამცირებს შეფასების ან აღიარების არათანმიმდევრულობას, რაც სხვა შემთხვევაში იარსებებდა; ან
- ფინანსური ვალდებულება არის ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის, ან ორივეს ნაწილი, რომელიც იმართება და ფასდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, ჯგუფის დოკუმენტირებული რისკის მართვის ან ინვესტირების სტრატეგიის შესაბამისად, და დაჯგუფების შესახებ ინფორმაციის წარდგენა ჯგუფის შიგნით ხდება ამის საფუძველზე; ან
- არის ერთი ან ერთზე მეტი ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის შესახებ კონტრაქტის ნაწილი და ბასს (IAS) 39-ით „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ ნებადართულია მთლიანი ნაერთი კონტრაქტის (აქტივი ან ვალდებულება) მიკუთვნება „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახულის“ კატეგორიისთვის.

### სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები (ბანკების ანაზრების, კლიენტების ანაზრების, ნასესხები სახსრების, სუბორდინირებული ვალისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების ჩათვლით) თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება გარიგების დანახარჯები.

სხვა ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ხოლო საპროცენტო ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური შემოსავლიანობის საფუძველზე.

*ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების განაგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალში მოსალოდნელი ნაღდი ფულით გადახდების (მათ შორის ყველა გადახდილი ან მიღებული გასამრჯელო, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, გარიგების დანახარჯები და სხვა პრემიები თუ დისკონტები) დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოქმედების მოსალოდნელ ვადაზე ან (საჭიროების შემთხვევაში) უფრო ხანმოკლე ვადაზე, თავდაპირველი აღიარებისას დაფიქსირებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ფინანსური გარანტიის კონტრაქტები*

ფინანსური გარანტიის კონტრაქტი არის ისეთი კონტრაქტი, რომელიც ემიტენტის ავალდებულებს გარკვეულ შენატანების განხორციელებას, რომ აუნაზღაუროს თავდებობის მფლობელს ზარალი, რომელიც მან განიცადა კონკრეტული დებიტორის მიერ სავალო ინსტრუმენტის პირობების თანახმად გადახდის დაგვიანების გამო.

ჯგუფის მიერ გამოშვებული ფინანსური გარანტიის კონტრაქტები თავდაპირველად ფასდება მათი სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ გადაფასდება ქვემოთ მოცემულ თანხებს შორის უდიდესით:

- კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულების ოდენობა, რომელიც ბასს (IAS) 37-ის „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ მიხედვით არის განსაზღვრული; და
- თავდაპირველად აღიარებული თანხა, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში აკლდება შემოსავლის აღიარების პოლიტიკის შესაბამისად აღიარებული დაგროვილი ამორტიზაცია.

(ათას ლარში)

## 2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება) ფინანსური ვალდებულებები და გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები (გაგრძელება)

### საქმიანობის გარანტიის ხელშეკრულებები

საქმიანობის გარანტიების ხელშეკრულებები არის კონტრაქტები, რომლებიც უზრუნველყოფს კომპენსაციას თუ მეორე მხარე ვერ ასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას. ამგვარი ხელშეკრულებები არ ითვალისწინებს საკრედიტო რისკის გადაცემას. საქმიანობის გარანტიის ხელშეკრულებები თავდაპირველად აღირიცხება გარესაბალანსო უწყისში. შემოსავლის აღიარება ხდება წარმოშობისთანავე შესაბამისი ხელშეკრულების სასიცოცხლო ციკლის მანძილზე. თითოეული ანგარიშგების პერიოდის დასრულებისას, საქმიანობის გარანტიის ხელშეკრულებების რეზერვი ფასდება ხარჯების მაქსიმალურად გამომთვლით, რაც საჭიროა პერიოდის დასრულებისას კონტრაქტის ანგარიშსწირებისათვის, მას აკლდება მიმდინარე ღირებულება, თუ დისკონტის ეფექტი მატერიალურია.

ბანკს გააჩნია სახელშეკრულებო უფლება, რომ კლიენტებს მიმართოს საქმიანობის გარანტიის კონტრაქტების ანგარიშსწორებისას გადახდილი თანხების ამოსაღებად. ამგვარი თანხების აღიარება ხდება, როგორც „სესხები და მისაღები ანგარიშები“.

### ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ ჯგუფის ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში.

### წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი მონაწილეობს სხვადასხვა წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში, რომ მართოს თავისი საპროცენტო და სავალუტო რისკები. ასეთ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება სავალუტო ფორვარდული კონტრაქტები, საპროცენტო განაკვეთის სვოპები და სავალუტო სვოპები.

ჯგუფი თავის კონტრაქტულ ბანკებთან მიმართებაში ახდენს ანაზრების გაქვითვას ვალუტის გადაცვლის მიზნით. ასეთი ანაზრები იურიდიულად განცალკევებულია, მაგრამ არის აგრეგირებული და აღირიცხება ერთიანი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის სახით (სავალუტო სვოპი) ნეტოს საფუძველზე, როდესაც (i) ანაზრების განთავსება ხდება ერთსა და იმავე დროს და ერთმანეთის გათვალისწინებით, (ii) ჰყავთ ერთი და იგივე კონტრაქტი, (iii) აქვთ ერთი და იგივე რისკი, და (iv) არ არსებობს ოპერაციების განცალკევების მიზანი, რომლის მიღწევაც არ შეიძლება ერთიანი ოპერაციით.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით იმ თარიღისთვის, როდესაც გაფორმდა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების კონტრაქტი და შემდეგ ხდება გადაფასება მათ სამართლიან ღირებულებამდე ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს.

ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აღირიცხება აქტივად, როდესაც სამართლიანი ღირებულება დადებითია და ვალდებულებად, როცა სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ცვლილებები წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაში შედის მოგებაში ან ზარალში როგორც წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე ნამეტი შემოსავალი/(ზარალი) ან როგორც სავალუტო ოპერაციებზე ნამეტი შემოსავალი/(ზარალი), ინსტრუმენტის ხასიათიდან გამომდინარე. ჯგუფი ამ ინსტრუმენტებზე ჰეჯირების აღირიცხვას არ აწარმოებს.

**ფინანსური იჯარის მისაღები ანგარიშები (ინვესტიცია ფინანსურ იჯარაში).** როცა ჯგუფი არის მეიჯარე იჯარის ხელშეკრულებაში, რომლის მიხედვითაც ყველა რისკი და სარგებელი არსებითად გადადის მოიჯარის საკუთრებაში, იჯარით გაცემული აქტივები წარმოდგენილია, როგორც ინვესტიციები ფინანსურ იჯარაში და მათი საბალანსო ღირებულება არის მომავალში იჯარის გადახდების მიმდინარე ღირებულება. ინვესტიციები ფინანსურ იჯარაში თავდაპირველად აღიარებულია წარმოშობისთანავე (როცა იწყება ფინანსური იჯარა), რისთვისაც იყენებენ თავიდან განსაზღვრულ (იჯარის ხელშეკრულების დაწყებისას და იმ თარიღისთვის, როცა მხარეები იღებენ ვალდებულებას იჯარის ძირითად რეზერვებზე) დისკონტის განაკვეთს.

(ათას ლარში)

## 2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება) წარმოებულ ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სხვაობა მთლიან მისაღებ ანგარიშსა და მიმდინარე ღირებულებას შორის წარმოადგენს მიუღებელ ფინანსურ შემოსავალს. ამ შემოსავლის აღიარება იჯარის ვადაზე ხდება წმინდა საინვესტიციო მეთოდის (დაბეგვრამდე) გამოყენებით, რაც ასახავს მუდმივი პერიოდული ამონაგების მაჩვენებელს. დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული იჯარის მოლაპარაკებასა და გაფორმებასთან შედის ფინანსური იჯარის მისაღები ანგარიშების თავდაპირველ შეფასებაში და ამცირებს იჯარის ვადაში აღიარებული შემოსავლის თანხას. იჯარიდან მიღებული ფინანსური შემოსავალი აისახება მოგება-ზარალის უწყისში საპროცენტო შემოსავლის ანგარიშში.

გაუფასურების დანაკარგების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშში ერთი ან მეტი მოვლენის წარმოშობისთანავე („დანაკარგების მოვლენები“), როცა ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა იჯარაში ინვესტიციის თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ჯგუფი იყენებს იგივე ძირითად კრიტერიუმებს, რათა დაადგინოს, რომ არსებობს გაუფასურების ზარალის ობიექტური მტკიცებულება, რომლის თანახმადაც გაუფასურების ზარალი წარმოიშვა სესხებზე, რომელთა თვითღირებულება ამორტიზაციის ხარჯებით იყო აღიარებული (როგორც ეს ადრე აღინიშნა ამ შენიშვნებში). გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება რეზერვის ანგარიშით, რათა ჩამოიწეროს მისაღები ანგარიშების წმინდა საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებაზე (ეს გამორიცხავს მომავალში საკრედიტო დანაკარგებს, რომელთაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს), დისკონტირებული საპროცენტო განაკვეთით, რომელიც განსაზღვრულია ფინანსურ იჯარაში. სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადები ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას იჯარას დაქვემდებარებული აქტივების ყიდვა-გაყიდვის შედეგად.

**შეწყვეტილი იჯარიდან მისაღები თანხები.** ბანკი აღიარებს მისაღებ ანგარიშებს შეწყვეტილი ხელშეკრულებებიდან იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთანავე. ამგვარი მისაღები ანგარიშების აღიარება ხდება თანხით, რომელიც მოიცავს სხვაობას დასაკუთრებული აქტივების სამართლიან ღირებულებასა და ფინანსურ იჯარაში წმინდა ინვესტიციის მიმდინარე ნაშთს შორის. მისაღები ანგარიშების აღრიცხვა ხდება ამორტიზაციის ხარჯს გამოკლებული გაუფასურება.

**წინასწარი გადახდა საიჯარო აქტივების შესაძენად.** საიჯარო აქტივების შესაძენად წინასწარი გადახდა მოიცავს საპროცენტო საავანსო გადახდებს, რომლებიც სრულდება აქტივების შესაძენად იჯარით გადაცემისათვის. ამგვარი ავანსები აღიარდება ამორტიზაციის ხარჯს გამოკლებული გაუფასურება. იჯარის დაწყებისას, საიჯარო ხელშეკრულებებთან მიმართებაში გადახდილი იჯარის ავანსი გადადის ფინანსურ იჯარაში წმინდა ინვესტიციის ანგარიშში.

### ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, შეუზღუდავ ნაშთებს საკორესპონდენტო და ვადიან ანაბრებზე საქართველოს ეროვნულ ბანკში, რომელთა თავდაპირველი ვადა მაქსიმუმ 90 დღეა და ფინანსური დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებს, რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან.

### სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში

სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომელთა გამოყენებაც ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად არ არის ხელმისაწვდომი და შესაბამისად, არ აისახება, როგორც ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემადგენელი ნაწილი ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების მიზნებისათვის.

### გამოსყიდვისა და უკუგამოსყიდვის შეთანხმებები და ფასიანი ქაღალდების გასესხება

გაყიდვისა და გამოსყიდვის შეთანხმებები („რეპო გარიგებები“) აღიარდება უზრუნველყოფილი ფინანსური გარიგებების სახით. ყიდვისა და გამოსყიდვის შეთანხმებების ფარგლებში გაყიდული ფასიანი ქაღალდები რჩება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და, თუ მხარეს, რომელსაც გადაეცა ფასიანი ქაღალდები, ხელშეკრულებით ან ჩვეულებით, უფლება აქვს გაყიდოს ან ხელახლა დააგირაოს ისინი, რეკლასიფიცირდება, როგორც გაყიდვისა და გამოსყიდვის ხელშეკრულებების ფარგლებში დაგირავებული ფასიანი ქაღალდები. შესაბამისი ვალდებულება აისახება საკრედიტო დაწესებულებების ან კლიენტების მიმართ

(ათას ლარში)

## 2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

### გამოსყიდვისა და უკუგამოსყიდვის შეთანხმებები და ფასიანი ქაღალდების გასესხება (გაგრძელება)

არსებული ვალდებულებების ოდენობით. გადაყიდვის („უკურეპო ოპერაციები“) ხელშეკრულებების ფარგლებში შესყიდული ფასიანი ქაღალდები აღირიცხება, როგორც მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ ან კლიენტებზე გაცემული სესხები. სხვაობა გაყიდვისა და გამოსყიდვის ფასებს შორის აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი და დაერიცხება რეპო გარიგებების შეთანხმებების ვადას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

კონტრაქტებისთვის ნასესხები ფასიანი ქაღალდები რჩება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. ნასესხები ფასიანი ქაღალდები არ აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ ისინი არ იყიდება მესამე მხარეებზე, რა შემთხვევაშიც ყიდვა და გაყიდვა მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღირიცხება, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებულ შემოსავალს გამოკლებული ზარალი. მათი დაბრუნების ვალდებულება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, როგორც სავაჭრო ვალდებულება.

### დასაკუთრებული აქტივები

დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს არაფინანსურ აქტივებს, რომლებიც ჯგუფმა დაისაკუთრა ვადაგადაცილებული სესხების თანხის ამოღებისას. ეს აქტივები შეძენისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და აისახება შენობებსა და აღჭურვილობაში, საინვესტიციო ქონებაში ან სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში, სხვა აქტივების მუხლში. ეს კლასიფიკაცია დამოკიდებულია უზრუნველყოფის მახასიათებლებსა და ჯგუფის გადაწყვეტილებაზე ამ აქტივების ამოღებასთან დაკავშირებით. ეს აქტივები შემდგომში გადაფასდება და აღირიცხება აქტივების ამ კატეგორიების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად. დასაკუთრებული აქტივების სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

### ძირითადი საშუალებები

საქონლისა და მომსახურების მიწოდებისთვის, ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული მიწა და შენობა-ნაგებობები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღირიცხება გადაფასებული ღირებულებებით, რაც წარმოადგენს მათ სამართლიან ღირებულებას გადაფასების თარიღისათვის გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. გადაფასება ხდება საკმარისი სიხშირით ისე, რომ საბალანსო ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება იმ ღირებულებისგან, რომლებიც განისაზღვრებოდა სამართლიანი ღირებულების გამოყენებით ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების შედეგად ღირებულების ზრდა აისახება სხვა სრულ შემოსავალში და გროვდება კაპიტალში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის შეაბრუნებს ამავე აქტივის გადაფასების შედეგად ღირებულების შემცირებას, რომელიც მოგებაში ან ზარალშია მანამდე აღიარებული. ასეთ შემთხვევაში ზრდა კრედიტდება მოგებაში და ზარალში იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მანამდე ღირებულების შემცირება გატარდა ხარჯად. მიწისა და შენობა-ნაგებობების შეფასების შედეგად საბალანსო ღირებულების შემცირება აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ ოდენობით, რამდენადაც აღემატება ამავე აქტივის უწინდელ გადაფასებასთან დაკავშირებული რეზერვის ნაშთს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დაუმთავრებელი მშენებლობა აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აღიარებული გაუფასურების ზარალი. თვითღირებულება მოიცავს პროფესიულ გასამრჯელოს და, განსაკუთრებული აქტივების შემთხვევაში, ნასესხები სახსრები კაპიტალიზდება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად. დაუმთავრებელი მშენებლობა კლასიფიცირდება ძირითადი საშუალებების შესაბამის კატეგორიებში, როდესაც დასრულება და მზადაა მიზნობრივად გამოყენებისთვის. ამ აქტივების ცვეთა, სხვა ძირითადი საშუალების ანალოგიურად, იწყება მაშინ, როდესაც აქტივები მიზნობრივად გამოყენებისთვის მზად არის.

საკუთრებაში არსებული მიწის ცვეთა არ ხდება.

აღჭურვილობა და ინვენტარი აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურებით გამოწვეული დაგროვილი ზარალი.

(ათას ლარში)

**2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)  
ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)**

ცვეთის აღიარება ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების ან აქტივების შეფასებული ღირებულების ჩამოსაწერად (გარდა საკუთრებაში არსებული მიწისა და მიმდინარე მშენებლობებისა), სასარგებლო გამოყენების ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით. სასარგებლო გამოყენების ვადა, ნარჩენი ღირებულება და ცვეთის მეთოდები გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად შემდეგი წლიური განაკვეთებით:

შენობა-ნაგებობები	1%-3.33%
საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა	10%-20%
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	20%
სხვა	20%

საიჯარო ქონების გაუმჯობესება ამორტიზდება შესაბამისი იჯარით აღებული აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადაზე. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

გადაფასებულ შენობებზე დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. გადაფასებული ქონების შემდგომი გამოყენებისას, ქონების გადაფასების რეზერვში დარჩენილი მიკუთვნებადი გადაფასების ზედმეტობა პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში გადადის.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების მუხლის გასხვისების ან ექსპლუატაციიდან ამოღების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

**არამატერიალური აქტივები**

*ინდივიდუალურად შესყიდული არამატერიალური აქტივები*

ინდივიდუალურად შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების 3-დან 5 წლამდე ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

ინდივიდუალურად შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

*არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა*

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

*მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა*

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს თავისი მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის აღდგენითი ღირებულება იმისათვის, რომ



(ათას ლარში)

## 2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება) არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის აღდგენითი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

აღდგენითი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ზარალი აღიარდება, როგორც ღირებულების გადაფასებით მიღებული შემცირება.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი აღდგენითი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში, თუ შესაბამისი აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ზარალის შებრუნება აღიარდება, როგორც ღირებულების გადაფასებით მიღებული ზრდა.

### საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის მიწა, შენობა ან შენობის ნაწილი, რომელიც გაიცემა იჯარით საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის გაზრდისათვის, და რომელსაც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფი არ იყენებს და არ ფლობს გაყიდვის მიზნით. საინვესტიციო ქონებას განეკუთვნება ისეთი ქონებაც, რომლის მშენებლობა ან განახლება მიმდინარეობს საინვესტიციო ქონებად სამომავლო გამოყენებისთვის.

საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით და შემდეგ ხელშეორედ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს საბაზრო პირობებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ბანკის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სხვადასხვა წყაროს საფუძველზე, მათ შორის დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშების მიხედვით, რომლებსაც აქვთ აღიარებული და შესაბამისი პროფესიული სერტიფიცირება და ანალოგიური ადგილმდებარეობისა და კატეგორიის ქონების შეფასების გამოცდილება.

საინვესტიციო ქონება, რომლის გარდაქმნაც ხდება საინვესტიციო ქონებად შემდგომი გამოყენებისთვის ან რომლის ბაზარზეც ნაკლებად აქტიური გახდა, კვლავაც სამართლიანი ღირებულებით აღიარდება. გამომოშავებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში სხვა შემოსავლის ნაწილში. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეცვლის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და მიეკუთვნება სხვა შემოსავლის ან სხვა საოპერაციო ხარჯების მუხლებს.

(ათას ლარში)

## 2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება) საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

შემდგომი დანახარჯები მხოლოდ მაშინ კაპიტალიზდება, თუ ბანკი მოელის მისგან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას და თუ შესაძლებელია თვითღირებულების სათანადო სიზუსტით შეფასება. ყველა დანარჩენი რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები ტარდება ხარჯების ნაწილში მათი გაწვევითანავე. თუ საინვესტიციო ქონებას დაიკავებს მესაკუთრე, მაშინ ხდება მისი რეკლასიფიცირება შენობებად და აღჭურვილობად და მისი საბალანსო ღირებულება რეკლასიფიცირების თარიღისთვის ხდება მისი დასაშვები ღირებულება, რომელიც შემდგომში ცვეთას ექვემდებარება.

### გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე საგადასახადო დავალიანებასა და გადავადებულ გადასახადს.

#### მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო დავალიანება ეყრდნობა წლის დასაბეგრ მოგებას, რომელიც იანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასაბეგრი მოგება მოგება განსხვავდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში გაცხადებული მოგებისგან, იმ შემოსავლის ან ხარჯების მუხლების გამო, რომლებიც დასაბეგრი ან გამოსაქვითია სხვა წლებში და აგრეთვე იმ მუხლების გამო, რომლებიც არასდროს იბეგრება ან იქვითება. ჯგუფის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

#### გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და დასაბეგრი მოგების გასაანგარიშებლად გამოყენებულ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის დროებით სხვაობებზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების აღიარება, როგორც წესი, ხდება ყველა დასაბეგრი დროებითი სხვაობის შემთხვევაში. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება, ზოგადად, ყველა გამოსაქვითი დროებითი სხვაობის შემთხვევაში იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც გაიქვითება ეს გამოსაქვითი დროებითი სხვაობები. ასეთი გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი სხვაობები წარმოდგება გუდვილიდან ან სხვა აქტივებისა ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებიდან (გარდა საწარმოთა გაერთიანებისა) ისეთ გარიგებაში, რომელიც არც დასაბეგრ მოგებაზე მოქმედებს და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების აღიარება ხდება დასაბეგრი დროებითი სხვაობების შემთხვევაში, რომლებიც უკავშირდება ინვესტიციებს შვილობილ საწარმოებში, ძირითად საშუალებებს, კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და ანარიცხებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჯგუფს შეუძლია გააკონტროლოს დროებითი სხვაობების შებრუნება და დროებითი სხვაობის შებრუნება ახლო მომავალში არ არის მოსალოდნელი. სხვა აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გამოსაქვითი დროებითი სხვაობებიდან წარმომდგარი გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია საკმარისი დასაბეგრი მოგების მიღება, რომ მისგან გაიქვითოს დროებითი სხვაობების სარგებელი და ნავარაუდევია მათი შებრუნება ახლო მომავალში.

გადავადებული საგადასახადო აქტივების საბალანსო ღირებულება გადაისინჯება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და შემცირდება, თუ მოსალოდნელი აღარ არის საკმარისი დასაბეგრი მოგების მიღება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ აღდგენა. გადავადებული საგადასახადო აქტივების საბალანსო ღირებულება გადაისინჯება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და შემცირდება, თუ მოსალოდნელი აღარ არის საკმარისი დასაბეგრი მოგების მიღება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება აქტივის მთლიანად ან ნაწილობრივ აღდგენა.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფასდება საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც სავარაუდოდ იმოქმედებს ვალდებულების გასტუმრების ან აქტივის რეალიზაციის პერიოდში, იმ საგადასახადო განაკვეთების (და საგადასახადო კანონების) საფუძველზე, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

(ათას ლარში)

## 2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება) გადასახადები (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების შეფასება ასახავს საგადასახადო შედეგებს, რომლებსაც განაპირობებს ის, თუ ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის რამდენად მოელის ჯგუფი თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების აღდგენას ან გასტუმრებას.

*წლის მიმდინარე და გადავადებული გადასახადი*

მიმდინარე და გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი უკავშირდება ისეთ მუხლებს, რომლებიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. ამ შემთხვევაში მიმდინარე და გადავადებული გადასახადის აღიარებაც ხდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, შესაბამისად.

*საოპერაციო გადასახადები*

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შედის მოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგების საოპერაციო ხარჯებში.

### ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

### პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

### უცხოური ვალუტები

ჯგუფის თითოეული საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ამ საწარმოს სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში (უცხოურ ვალუტებში) გამოხატული გარიგებების აღიარება ხდება ამ გარიგებების თარიღებით მოქმედი სავალუტო კურსებით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის, უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი მუხლების გადაყვანა ხდება ამ თარიღით მოქმედი კურსის გამოყენებით. სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლები, რომლებიც გამოხატულია უცხოურ ვალუტაში, იმ კურსებით გადაიყვანება, რომლებიც მოქმედებდა იმ თარიღით, როდესაც განისაზღვრა სამართლიანი ღირებულება. არაფულადი მუხლები, რომლებიც შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, არ გადაიყვანება.

(ათას ლარში)

## 2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

### უცხოური ვალუტები (გაგრძელება)

ფულადი მუხლების საკურსო სხვაობების აღიარება ხდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის ეს სხვაობები დაფიქსირდა.

წლის დასასრულის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფმა შემდეგი სავალუტო კურსები გამოიყენა:

	<i>31 დეკემბერი, 2016 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2015წ.</i>
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6468	2.3949
ლარი/1 ევრო	2.7940	2.6169

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ცვლილება გამოქვეყნების შემდეგ.** ბანკის აქციონერს და ხელმძღვანელობას გააჩნიათ უფლებამოსილება შეცვალონ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოცემის შემდეგ.

## 3. გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ჯგუფის ხელმძღვანელობას მოეთხოვება განსჯა, შეფასება და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც მზა სახით ხელმისაწვდომი არ არის სხვა წყაროებიდან. ეს შეფასებები და მათთან დაკავშირებული დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც აქტუალურად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან.

ეს შეფასებები და თანმდევი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა ამ შეფასების გადახედვა, თუ გადახედვა გავლენას ახდენს მხოლოდ ამ პერიოდზე, ან გადახედვის პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ გადახედვა გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

### სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი განსჯა

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ განსჯის შედეგად გამოთქმული ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრება, გარდა იმ მოსაზრებების, რომელიც შეფასებებს ეყრდნობა (იხ. ქვემოთ) და რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

### საქმიანობის უწყვეტობა

ჯგუფის ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მოამზადა საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე. ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისას, ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა და გააკეთა ჯგუფის სამომავლო ოპერაციებზე უახლესი ფინანსური კრიზისის გავლენის ანალიზი.

2016 წლის 20 ოქტომბერს, ჯგუფის სააქციო კაპიტალის 100% შეიძინა სს „თიბისი ბანკმა“, რის შემდეგაც ჯგუფი აგრძელებს ოპერაციებს, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი და ეჭვგარეშეა, რომ იგი შეძლებს საქმიანობის უწყვეტად გაგრძელებას. 2017 წლის მაისში, დაგეგმილია ჯგუფის „თიბისი ბანკთან“ გაერთიანების სამართლებრივი და საოპერაციო პროცესის დასრულება. იმის გათვალისწინებით, რომ ყველა აქტივი, პასივი და ჯგუფის ოპერაციები გადავა სს „თიბისი ბანკის“ განკარგულებაში, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე.

(ათას ლარში)

### 3. გადაწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები (გაგრძელება)

#### შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები

ქვემოთ წარმოდგენილია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის ძირითადი დაშვებები მომავლის შესახებ, ასევე შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი კორექტირებები გამოიწვიოს.

#### სესხებისა და მისაღები ანგარიშების გაუფასურება

ჯგუფი თავისი შეხედულებით აფასებს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობას იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს ფინანსური სირთულეები ექმნება და ანალოგიური მსესხებლების შესახებ ისტორიული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის. სამომავლო ფულად ნაკადებში ცვლილებებს ჯგუფი აფასებს წარსული გამოცდილებისა და წარსულში კლიენტების ქცევის მიხედვით, ასევე არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიანიშნებს მსესხებლების კრედიტუნარიანობის ან ქვეყნისა თუ ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაზე, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ჯგუფის მიერ თავისი აქტივების ამოღებაზე. საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივებისთვის ხელმძღვანელობა იყენებს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაფუძნებულ შეფასებებსა და ანალოგიური სესხების ჯგუფის გაუფასურების ობიექტურ საფუძველს. ჯგუფი სესხების ჯგუფის შესახებ არსებული ხელმისაწვდომი მონაცემების კორექტირებისათვის ეყრდნობა საკუთარ შეფასებებს, რათა ასახოს ის მიმდინარე მოვლენები, რომლებიც ისტორიულ მონაცემებში არ არის ასახული.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის განსაზღვრა ხდება არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების საფუძველზე. ჯგუფს არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს, რა ცვლილებები მოხდება საქართველოში და რა გავლენა ექნება ასეთ ცვლილებებს მომავალ პერიოდებში ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობაზე.

2016 და 2015 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემული მთლიანი სესხები შეადგენდა 1,476,999 ლარს და 1,226,765 ლარს, შესაბამისად, ხოლო გაუფასურების ზარალის რეზერვი იყო 50,537 და 42,669 ლარი, შესაბამისად.

5%-იანი მატება ან კლება ფაქტიურ დანაკარგებს და პროგნოზირებულ დანაკარგებს შორის გამოიწვევს დამატებით ან უფრო დაბალ ხარჯს გაუფასურების ზარალის რეზერვებისათვის - 2,527 ლარი (2015: 2,133 ლარი).

#### გადასახადები

**საგადასახადო კანონმდებლობა.** ჯგუფი ექვემდებარება მოგების გადასახადებს რამდენიმე იურისდიქციაში და შესაბამისად, ჯგუფის საგადასახადო ვალდებულებების და მოგების გადასახადების ანარიცხების გამოთვლა აუცილებლად საჭიროებს სათანადო მსჯელობას და გამოთვლებს.

**გადავადებული და მიმდინარე მოგების გადასახადი** 2016 წლის 13 მაისს, საქართველოს მთავრობამ საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შეიტანა. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ნაწილი 2019 წლის 1 იანვრიდან შევა ძალაში კომერციული ბანკებისათვის, საკრედიტო კავშირებისათვის, სადაზღვევო კომპანიებისათვის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისათვის. ახალი კოდექსი გავლენას ახდენს ჯგუფის მოგების გადასახადის აღიარებისა და შეფასების პრინციპებზე და ასევე, გავლენას ახდენს ჯგუფის გადავადებული მოგების გადასახადის აქტივებზე/ვალდებულებებზე. კომპანიებს არ უწევს მოგების გადახდა დასაბეგრ მოგებაზე (რომელიც გამოიმუშავეს 2017 წლის 1 იანვრიდან ან 2019 წლის 1 იანვრიდან კომერციულმა ბანკებმა საკრედიტო კავშირებმა, სადაზღვევო კომპანიებმა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა და ლომბარდებმა) ვიდრე მოგება არ განაწილდება დივიდენდის ან მოგების განაწილების სხვა ფორმით. დივიდენდის გაცემისთანავე, 15%-იანი მოგების გადასახადი ექვემდებარება გადახდას, მიუხედავად იმისა, დივიდენდი ფულადი სახით გაიცა თუ არაფულადი, უცხო ქვეყნის არარეზიდენტ იურიდიულ პირზე გაიცა თუ უცხო ქვეყნის/ადგილობრივ ფიზიკურ პირზე. დივიდენდები, რომლებიც განაწილდება რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გადასახადისგან თავისუფალია. დივიდენდების გარდა, გადასახადი კვლავაც ექვემდებარება გადახდას ხარჯებზე და სხვა გადახდებზე, რომლებიც წარმოიშვა არაეკონომიკურ აქტივობებთან დაკავშირებით, იქნება ეს საქონლის/მომსახურებების უფასო მიწოდება

(ათას ლარში)

და/თუ თანხების და წარმომადგენლობის ხარჯების გადაცემა, რომელიც აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ზღვარს. გადახდა სავალდებულოა იმავე თვეში, როცა ეს ხარჯები წარმოიშვა.

### 3. გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები (გაგრძელება)

#### გადასახადები (გაგრძელება)

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებული საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები თავიდან ფასდება იმ თანხით, რომელიც სავარაუდოდ ათვისებული იქნება 2017 წლის პირველი იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

### 4. სააღრიცხვო პოლიტიკაში შესული ცვლილებები და ახალი ან შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ჯგუფს აქვს მიღებული წინა ფინანსური წლის პოლიტიკის შესაბამისია. რაიმე ახალ ან შეცვლილ სტანდარტს ან ინტერპრეტაციას, რაც სააღრიცხვო პოლიტიკას შეცვლიდა ადგილი არ ჰქონია.

### 5. ახალი სააღრიცხვო განაცხადები

2017 წლის პირველი იანვრის შემდგომი წლიური პერიოდებისათვის, რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია იქნა გამოცემული და ჯგუფს ისინი ჯერ არ აქვს დამტკიცებული.

**ბასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტები: კლასიფიკაცია და შეფასება (რედაქტირებული 2014 წლის ივლისში, ძალაში შევიდა წლიურ პერიოდებზე, რომლებიც იწყება 2018 წლის პირველ იანვარს).** ახალი სტანდარტის ძირითადი მახასიათებლებია:

- ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია უნდა მოხდეს შეფასების სამ კატეგორიაში: (ა) აქტივები, რომლებიც უნდა შეფასდეს შემდგომ ამორტიზაციის ხარჯით; (ბ) აქტივები, რომლებიც უნდა შეფასდეს შემდგომ სამართიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის საშუალებით და (გ) აქტივები, რომლებიც უნდა შეფასდეს შემდგომ სამართიანი ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით.
- ვალის ინსტრუმენტების კლასიფიკაციისას გამოიყენება კომპანიის საქმიანობის მოდელი, რომლითაც იგი განკარგავს ფინანსურ აქტივებს და ასევე, რამდენად წარმოდგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები ერთჯერად გადახდებს ძირი თანხისა და პროცენტისა. თუ ვალის ინსტრუმენტი შეკრებას ექვემდებარება, მისი თვითღირებულება იქნება ამორტიზაციის ხარჯით, თუ ამავე დროს იგი აკმაყოფილებს ძირისა და პროცენტის გადახდის მოთხოვნას. ძირისა და პროცენტის გადახდის მოთხოვნების შესაბამისი ვალის ინსტრუმენტები, რომლებიც ინახება პორტფელში, სადაც კომპანია ახორციელებს აქტივების ფულადი ნაკადების შეკრებას და აქტივების გაყიდვას შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც სამართიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავლის საშუალებით (FVOCI). ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შეიცავს ფულად ნაკადებს და ექვემდებარება ძირი თანხისა და პროცენტის გადახდას, უნდა შეფასდეს სამართიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშში (მაგ. წარმოშობილები). აქტივში შესული დერივატივები აღარ გამოეყოფა ფინანსურ აქტივებს, თუმცა გათვალისწინებული იქნება ძირისა და პროცენტის გადახდის მდგომარეობის შეფასებისას.
- ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში ყოველთვის ფასდება სამართიანი ღირებულებით. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია საბოლოოდ აირჩიოს, რომ ცვლილებები სამართიანი ღირებულებით წარმოდგინოს სხვა სრულ შემოსავალში, იმის გათვალისწინებით, რომ ინსტრუმენტი არ არის განკუთვნილი ვაჭრობისათვის. თუ კაპიტალის ინსტრუმენტი ვაჭრობისათვის არის განკუთვნილი, სამართიანი ღირებულებაში ცვლილებები წარმოდგენილია მოგებაში ან ზარალში.
- ბასს 39-ს მოთხოვნების უმეტესობა ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებით თითქმის უცვლელად გადავიდა ფასს 9-ში. ძირითადი განსხვავება ისაა, რომ კომპანიას მოეთხოვება ცვლილებების გავლენის წარმოდგენა ფინანსური ვალდებულებების საკუთარი საკრედიტო რისკის შეფასებაში სამართიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში.
- ფასს 9 წარმოდგენს ახალ მოდელს გაუფასურების ზარალის აღიარებისათვის - პროგნოზირებული საკრედიტო დანაკარგების (ECL) მოდელი. ეს არის სამ ეტაპიანი მიდგომა, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ცვლილებას ეფუძნება. პრაქტიკაში, ახალი წესები ნიშნავს, რომ კომპანიებმა უნდა აღრიცხონ დაუყოვნებელი ზარალი, რომელიც უდრის 12-თვის პროგნოზირებულ საკრედიტო დანაკარგებს ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას, რომლის

(ათას ლარში)

საკრედიტო ხარისხი (ან პროგნოზირებული საკრედიტო დანაკარგების ხანგრძლივობა ვაჭრობის მისაღები ანგარიშებისათვის) გაუფასურებული არ არის. იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, გაუფასურება ფასდება პროგნოზირებული საკრედიტო დანაკარგების მთლიან ვადაზე და არა თორმეტ თვეზე. ეს მოდელი ასევე გულისხმობს იჯარისა და ვაჭრობის მისაღები ანგარიშების საოპერაციო კუთხით გამარტივებას/

- ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები შეიცვალა, რათა უფრო მეტად მომხდარიყო დაახლოება რისკების მართვის აღრიცხვასთან. სტანდარტი კომპანიებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის არჩევის საშუალებას აძლევს. მათ შეუძლიათ გამოიყენონ ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები ფასს 9 -ს მიხედვით ან გააგრძელონ ბასს 39-ს გამოყენება ყველა ტიპის ჰეჯირებაზე, რადგან სტანდარტი ჯერჯერობით არ ეხება მაკრო ჰეჯირების ბუღალტრულ აღრიცხვას.

ამჟამად, ჯგუფი აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე, თუმცა, ჯგუფის ვარაუდით, გავლენა მნიშვნელოვანი იქნება.

**ფასს 15, „შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“ (გამოიცა 2014 წლის 28 მაისს და ძალაში შედის 2018 წლის პირველი იანვრიდან დაწყებულ შემდეგომ პერიოდებზე).** ახალ სტანდარტს შემოაქვს პრინციპი, რომლის თანახმად, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისათვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. ნებისმიერი საქონლის ან მომსახურების პაკეტი, რომელიც განსხვავებულია, უნდა იქნას ცალკე აღიარებული და ნებისმიერი ფასდაკლება ხელშეკრულების ფასზე უნდა იქნას ზოგადად მიკუთვნებული ცალკე ელემენტებს. როცა რაიმე მიზეზით, განსხვავებულ ვითარებას აქვს ადგილი, მინიმალური თანხები უნდა იქნას აღიარებული, თუ არ არსებობს გაუქმების რაიმე მნიშვნელოვანი რისკი. ხარჯები, რომლებიც წარმოშობილია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების უზრუნველსაყოფად, უნდა დაექვემდებაროს კაპიტალიზაციას და ცვეთას პერიოდზე, როცა ხელშეკრულების სარგებლის მოხმარება მოხდება. დღესდღეობით, ჯგუფი აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას საკუთარ ფინანსურ მდგომარეობაზე.

**ფასს 16, იჯარა (გამოიცა 2016 წლის 13 იანვარს და ძალაში შედის 2019 წლის პირველი იანვარს დაწყებულ პერიოდებზე).** ახალი სტანდარტი განსაზღვრავს პერიოდებს იჯარის აღიარების, შეფასების, წარმოდგენისა და გამყვანების შესახებ. ყველა ტიპის იჯარა მოიჯარეს აძლევს უფლებას აქტივი გამოიყენოს იჯარის ვადის დაწყებიდან და თუ იჯარის გადახდები გარკვეულ პერიოდზე კეთდება, ხელი მიუწვდებოდეს დაფინანსებაზე. შესაბამისად, ფასს 16-ს თანახმად, იჯარის კლასიფიკაცია აღარ ხდება, როგორც საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად. სანაცვლოდ, სტანდარტს შემოაქვს ერთი მოიჯარის ბუღალტრული აღრიცხვის მოდელი. მოიჯარეს მოეთხოვება, რომ აღიაროს: (ა) აქტივები და პასივები ყველა იჯარაზე, რომლის ვადა 12 თვეს სცდება, თუ შესაბამისი აქტივი არ არის დაბალი ღირებულების; და (ბ) იჯარის აქტივების ცვეთა გააკეთოს შემოსავალ-გასავლის უწყისში იჯარის ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტიდან. ფასს 16-ს მოიჯარის საბუღალტრო აღრიცხვის მოთხოვნებს მნიშვნელოვნად წინ სწევს ბასს 17-ში. შესაბამისად, მოიჯარე აგრძელებს იჯარის კლასიფიკაციას საოპერაციო ან ფინანსურ იჯარად და მათ აღრიცხვას ორ სხვადასხვა ანგარიშად. ამჟამად, ჯგუფი აფასებს ახალი სტანდარტის გავლენას საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**გამყვანების ინიციატივა – ცვლილებები ბასს 7-ში (გამოცემულია 2016 წლის 29 იანვარს და ძალაში შევა 2017 წლის 1 იანვარს დაწყებულ პერიოდებზე).** რედაქტირებული ბასს 7 მოითხოვს ფინანსური აქტივობებიდან წარმოქმნილი დინამიკის აღრიცხვის ფინანსურ ინსტრუმენტებს. ჯგუფი ამ ინფორმაციას წარმოადგენს 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ქვემოთ მოცემული ახალი ცვლილებები, დამტკიცების შემდეგ, სავარაუდოდ მატერიალურ გავლენას მოახდენს ჯგუფზე:

- „აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის“ - ცვლილებები ფასს 10-სსა და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შედის შემდეგომ წლიურ პერიოდებზე, რომლებიც განისაზღვრება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ბორდის მიერ).
- გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება არარეალიზებულ დანაკარგებზე - ცვლილებები ბასს 12-ში (გამოცემულია 2016 წლის 19 იანვარს და ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგომ წლიურ პერიოდებზე)
- ცვლილებები ფასს 15-ში, „შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (გამოიცა 2014 წლის 28 მაისს და ძალაში შედის 2018 წლის პირველი იანვრიდან დაწყებულ პერიოდებზე)
- ცვლილებები ფასს 2-ში, წილზე-დაფუძნებული გადახდა (გამოიცა 2016 წლის 20 ივნისს და ძალაში შედის 2018 წლის პირველი იანვრიდან დაწყებულ პერიოდებზე)

(ათას ლარში)

- ცვლილებები ფასს 4-ში, სადაზღვევო კონტრაქტები (გამოიგა 2016 წლის 12 სექტემბერს და ძალაში შედის 2018 წლის პირველი იანვრიდან დაწყებულ პერიოდებზე)
- წლიური ცვლილებები ფასს 2014-2016 წლების ციკლში (გამოიგა 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაში შედის 2017 წლის პირველი იანვრიდან დაწყებულ პერიოდებზე ფასს 12-თან მიმართებაში და 2018 წლის პირველი იანვრის შემდგომ პერიოდებზე ფასს 1 და ბასს 28-ს ცვლილებებთან დაკავშირებით).
- IFRIC 22 - უცხოური ვალუტის ოპერაციები და ავანსის გათვალისწინება (გამოიგა 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- საინვესტიციო ქონების გადაცემა - ცვლილებები ბასს 40-ში (გამოიგა 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მოცემული, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები სავარაუდოდ მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## 6. რეკლასიფიკაცია

2016 წლის ბოლოს, ქართული ლარი გაუფასურდა აშშ დოლართან მიმართებაში 10.5%-ით, რაც ძირითადად განპირობებული იყო თურქული ლირის გაუფასურებით. იგივე პერიოდში, ლარმა დაკარგა ღირებულების 7% ევროსთან მიმართებაში. ბოლო ორი წლის შემცირების შემდეგ, ექსპორტი და ფულადი გზავნილები ისევ გააქტიურდა 2016 წლის მეორე ნახევარში, რაც გამოწვეული იყო ქართული ექსპორტის გეოგრაფიული არეალის გაფართოებით და ასევე, რუსეთსა და უკრაინაში ვითარების შედარებით დასტაბილურებით. მეორეს მხრივ,

(ათას ლარში)

ეკონომიკური სიტუაცია კვლავაც გაუარესდა აზერბაიჯანში, თურქეთსა და სომხეთში, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოდან ამ ქვეყნებში ექსპორტზე. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში ეს გამოწვევები არ წყდება, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა, ქვეყანაში შემოსული ვიზიტორების რიცხვმა 6.4 მილიონს მიაღწია, რაც წლიური მაჩვენებლის 8%-იან ზრდაზე მიუთითებს.

2016 წლის მეოთხე კვარტალში ნულოვანი ინფლაციის (+0.6% წლიური) დახურვის შემდეგ, ინფლაციამ მაქსიმალურ ზღვარს მიაღწია, წლიური 3.9%. ინფლაციის დაბრუნება განაპირობა თამბაქოზე, ნავთობზე და მანქანებზე გაზრდილმა აქციზის გადასახადმა. ძირითადად, ინფლაციის მაჩვენებელი 2.8% იყო. აქციზის გაზრდილი გადასახადები გახდა მიზეზი ეკონომიკაში მაღალი ინფლაციის მაჩვენებლებისა, რომლის ასეთი მოულოდნელი ზრდის საპასუხოდ, ეროვნულმა ბანკმა გაზარდა პოლიტიკის განაკვეთი 0.25 ე რთე ულთ 6.5-დან 6.75%-მდე 2016 წლის იანვრის ბოლოს და დაგვიპრდა, რომ შემდეგ კვარტალში კიდევ 0.25 ერთეულით გაიზრდება. გამომდინარე იქიდან, რომ ინფლაცია ძირითადად ერთჯერადი ფაქტორებით არის გამოწვეული, ეროვნული ბანკისაგან არ მოელიან ზედმეტ რეაგირებას, იმ შემთხვევაშიც, კი თუ ინფლაცია დროებით სამიზნე მაჩვენებელზე (4%) მაღლა ავა 2017 წელს.

ფისკალური პოლიტიკა კვლავაც ზრდაზე ორიენტირებული იყო 2016 წელს, ფისკალური დეფიციტი 40%-ს შედგენდა, რასაც ძირითადად საგარეო ვალდებულებებით აფინანსებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი 3%-ს აჭარბებდა, სახელმწიფო ვალი კვლავაც რჩება მთლიანი შიდა პროდუქტის 45%, რაც არის კონსტიტუციაში განსაზღვრული მაჩვენებელზე (60%) დაბალი. მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის შესაბამისად, შიდა ვალი მთლიან სახელმწიფო ვალში ეტაპობრივად იზრდება, 2016 წლის ბოლოს 21% იყო, რაც ამცირებს სავალუტო გაცვლითი კურსის რისკს და აძლიერებს სახელმწიფო ვალის მდგრადობის პროფილს.

2017 წლის პროგნოზებით, ფისკალური დეფიციტი სავარაუდოდ იქნება მთლიანი შიდა პროდუქტს 4.2%. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი კვლავაც მაღალია, მას ძირითადად განაპირობებს გაზრდილი კაპიტალის დანახარჯები. მთავრობის გრძელვადიანი დღის წესრიგის მთავარი აქცენტი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე კეთდება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას, რადგან შემცირდება სატრანსპორტო ხარჯები და ქვეყნის რეგიონების პოტენციალი უკეთ იქნება გამოყენებული. ამასთან, უკეთესი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა გააძლიერებს ქვეყნის პოზიციას რეგიონში, როგორც რეგიონის სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ჰაბისა.

### საპენსიო გეგმა და პენსიები

პენსიაზე გასული თანამშრომლები იღებენ პენსიას საქართველოს მთავრობისგან ქვეყნის კანონებისა და ნორმატიული აქტების შესაბამისად. 2016 წლისა და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არსებული და ყოფილი თანამშრომლების მიმართ არ ჰქონდა ვალდებულებები დამატებით საპენსიო უზრუნველყოფასთან, პენსიაზე გასვლის შემდგომი ჯანდაცვის სქემასთან, სადაზღვევო უზრუნველყოფასთან ან საპენსიო კომპენსაციასთან დაკავშირებით.

## 29. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

გარიგებები ჯგუფსა და მის შვილობილ კომპანიებს შორის, რომლებიც ჯგუფის დაკავშირებული მხარეები არიან, კონსოლიდაციისას გაიქვითა და ამ შენიშვნაში არ არის გაცხადებული. ჯგუფსა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებების დეტალები ქვემოთაა მოცემული:

	31 დეკემბერი, 2016 წ.		31 დეკემბერი, 2015 წ.	
	დაკავშირებული მხარის ნაშთები	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირებული მხარის ნაშთები	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	33,672	235,865	76,205	178,676
- აქციონერები	33,672	-	75,638	-
- სხვა დაკავშირებული მხარეები	-	-	567	-

(ათას ლარში)

	31 დეკემბერი, 2016 წ.		31 დეკემბერი, 2015 წ.	
	დაკავშირებული მხარის ნაშთები	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირებული მხარის ნაშთები	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
კლიენტებზე გაცემული სესხები, მთლიანი	1,553	1,476,999	360	1,226,765
- ჯგუფის ხელმძღვანელობის ზედა რგოლი ან მისი აქციონერი (სახელმწიფო საპროცენტო განაკვეთი - 6.6% -8.8%)	1,337	-	294	-
- მნიშვნელოვანი აქციონერები (სახელმწიფო საპროცენტო განაკვეთი: 6.6% -8.8%)	216	-	-	-
- სხვა დაკავშირებული მხარეები	-	-	66	-
კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ზარალის რეზერვი	-	(50,537)	(1)	(42,669)
- სხვა დაკავშირებული მხარეები	-	-	(1)	-
ბანკების ანაზრები	132,875	273,447	4	149,905
- აქციონერები (სახელმწიფო საპროცენტო განაკვეთი 1%-3%)	132,875	-	4	-
კლიენტების ანაზრები	2,397	813,821	2,594	729,291
- ჯგუფის ხელმძღვანელობის ზედა რგოლი ან მისი აქციონერი (სახელმწიფო საპროცენტო განაკვეთი: 0%-4%)	2,014	-	2,452	-
- მნიშვნელოვანი აქციონერები (სახელმწიფო საპროცენტო განაკვეთი 0%-9.5%)	6	-	-	-
- სხვა მოკავშირე მხარეები (სახელმწიფო საპროცენტო განაკვეთი 0%)	377	-	142	-
ნასესხები სახსრები	-	612,506	81,861	469,530
- აქციონერები (სახელმწიფო საპროცენტო განაკვეთი 0% -9.2%)	-	-	81,861	-
სხვა ვალდებულებები	-	26,093	1,601	7,604
- აქციონერები	-	-	1,601	-
ანარიცხები	-	1,489	-	1,748
- სხვა დაკავშირებული მხარეები	-	-	-	-
სუბორდინირებული ვალი	17,029	17,029	31,729	31,729
- აქციონერები (სახელმწიფო საპროცენტო განაკვეთი 5.1 % -13 %)	17,029	-	31,729	-
გაცემული გარანტიები	-	195,983	65	146,200
- ჯგუფის ხელმძღვანელობის ზედა რგოლი ან მისი აქციონერი	-	-	65	-

(ათას ლარში)

**29. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)**

2016 წლის და 2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შედის შემდეგი თანხები, რომლებიც აღიარებულია დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებების ფარგლებში:

	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის		2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	
	გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
საპროცენტო შემოსავალი				
- ჯგუფის ხელმძღვანელობის ზედა რგოლი ან მისი აქციონერი	112	175,965	56	144,414
- სხვა დაკავშირებული მხარეები	44	-	30	-
	68	-	26	-
საპროცენტო ხარჯი				
- აქციონერები	(6,006)	(63,499)	(5,625)	(48,694)
- ჯგუფის ხელმძღვანელობის ზედა რგოლი ან მისი მშობელი კომპანია	(5,895)	-	(5,570)	-
- სხვა დაკავშირებული მხარეები	(100)	-	(30)	-
	(11)	-	(25)	-
პროცენტიანი აქტივების გაუფასურების ზარალის ანარიცხების აღდგენა				
საპროცენტო შემოსავალი	-	(19,866)	-	(15,479)
საოპერაციო ხარჯები	(1,506)	(62,930)	(5,421)	(57,923)
- ჯგუფის ხელმძღვანელობის ზედა რგოლი ან მისი მშობელი კომპანია	(1,351)	-	(3,360)	-
- აქციონერები	(153)	-	(1,984)	-
- სხვა დაკავშირებული მხარეები	(2)	-	(77)	-

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. 2016 წელს მთავარი მშობელი კომპანიის ცვლილების გამო, ჯგუფის დაკავშირებული მხარეების ჩამონათვალი შეიცვალა. იხილეთ შენიშვნა 1.

ხელმძღვანელობის ზედა რგოლი მოიცავს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს წევრებს.

სხვა დაკავშირებულ მხარეებში შედის საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები და ხელმძღვანელობის ზედა რგოლის ოჯახის წევრი.

მხარეები, რომელთაც 10%-ზე მეტი წილი გააჩნიათ მშობელ კომპანიაში ან რომელთაც წარმომადგენლები ჰყავთ დირექტორთა საბჭოში, მიიჩნევიან „მნიშვნელოვან აქციონერებად“.

ჯგუფის დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურება ასეთია:



(ათას ლარში)

	2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის		2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	
	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	მთლიანი კატეგორია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან
სულ ხელმძღვანელობის ზედა რგოლის ანაზღაურება				
- მოკლევადიანი დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები	2,318	34,563	3,360	31,598
<b>სულ</b>	<b>2,318</b>	<b>34,563</b>	<b>3,360</b>	<b>31,598</b>

### 30. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ფასს სამართლიან ღირებულებას განმარტავს, როგორც თანხას, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. ჯგუფმა ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასების მეთოდების გამოყენებით. თუმცა, სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველოს კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებებს. ხელმძღვანელობა ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად.

**სამართლიანი ღირებულების იერარქია.** სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ჯგუფმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების მიხედვით. ქვემოთ ცხრილში მოცემულია იმ აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი, რომლებიც სამართლიანი ღირებულებითაა შეფასებული ან რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც მოცემულია სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მათი დონის მიხედვით.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
<b>სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები</b>				
საინვესტიციო ქონება	-	-	28,558	28,558
გადაფასებული მიწა და შენობა-ნაგებობები			49,329	49,329
<b>აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი</b>				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	65,313	170,552	-	235,865
სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები სებში	-	131,133	-	131,133
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	-	9,937	-	9,937
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	-	1,406,191	1,406,191
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	6,315	6,315
<b>საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:</b>				

(ათას ლარში)

- სესხები და მისაღები ანგარიშები	-	150,450	-	150,450
<b>ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი</b>				
ბანკების ანაზრები	-	273,447	-	273,447
კლიენტების ანაზრები	-	-	813,608	813,608
ნასესხები თანხები	-	612,604	-	612,604
სუბორდინირებული სესხები	-	17,029	-	17,029
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	22,898	22,898
<b>2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>დონე 1</b>	<b>დონე 2</b>	<b>დონე 3</b>	<b>სულ</b>
<b>სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები</b>				
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები - გასაყიდად გამზადებული	1,782	-	1,159	2,941
საინვესტიციო ქონება	-	-	22,118	22,118
გადაფასებული მიწა და შენობა-ნაგებობები	-	-	49,767	49,767
<b>აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი</b>				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	54,178	124,498	-	178,676
სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები სებ-ში	-	79,279	-	79,279
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	-	6,720	-	6,720
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	-	1,187,793	1,187,793
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	1,330	1,330
<b>- საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:</b>				
- სესხები და მისაღები ანგარიშები	-	43,312	-	43,312
- დაფარვის ვადამდე ფლობილი	-	39,058	-	39,058
- რეპო ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი	-	28,450	-	28,450
<b>ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი</b>				
ბანკების ანაზრები	-	149,905	-	149,905
კლიენტების ანაზრები	-	-	729,561	729,561
ნასესხები თანხები	-	468,350	-	469,530
სუბორდინირებული სესხები	-	31,237	-	31,237
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	7,205	7,205

31 დეკემბრით დასრულებული 2016 წლისა და 2015 წლის განმავლობაში სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადატანები არ მომხდარა.

**ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით**

წინამდებარე ცხრილში მოცემულია ჯგუფის ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო და სამართლიანი ღირებულებების შედარება, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არ არის ასახული სამართლიანი ღირებულებით. ცხრილი არ მოიცავს ისეთ მუხლებს, რომელთა სამართლიანი ღირებულება მიახლოებულია მის საბალანსო ღირებულებასთან, როგორცაა ლიკვიდური ან მოკლევადიანი (3 თვემდე ვადის ან მცურავი საპროცენტო განაკვეთის მქონე) ინსტრუმენტები.

(ათას ლარში)

**30. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)**

	საბალანსო ღირებუ- ლება 2016	სამარ- თლიანი ღირებუ- ლება 2016	აულიარე- ბელი მოგება/ (ზარალი) 2016	საბალანსო ღირებუ- ლება 2015	სამარ- თლიანი ღირებუ- ლება 2015	აულიარე- ბელი მოგება/ (ზარალი) 2015
<b>ფინანსური აქტივები</b>						
კლიენტებზე გაცემული სესხები	1,426,462	1,406,191	(20,271)	1,184,096	1,187,793	3,697
<b>საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:</b>						
- სესხები და მისაღები ანგარიშები და დაფარვის ვადამდე ფლობილი	147,934	150,450	2,516	84,627	82,370	(2,257)
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	74,627	77,049	2,421	70,407	68,350	(2,057)
- სებ-ის დეპოზიტის სერტიფიკატები	5,884	5,878	6	9,409	9,209	(200)
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ფასიანი ქაღალდები	67,422	67,523	(101)	4,811	4,811	-
- რეპო ხელშეკრულებებით უზრუნველყოფილი	-	-	-	28,639	28,450	(189)
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>						
ვალდებულებები						
კლიენტების მიმართ	813,821	813,608	(213)	729,291	729,561	270
ნასესხები სახსრები	612,506	612,604	98	468,708	468,350	(358)
სუბორდინირებული სესხები	17,029	17,029	-	31,729	31,237	(492)
<b>სამართლიანი ღირებულების მთლიანი აულიარეული ცვლილება</b>			<b>(17,870)</b>			<b>671</b>

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით.

**აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას**

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით ან აქვს მცოცავი საპროცენტო განაკვეთი (სამ თვეზე ნაკლები), ითვლება, რომ სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

(ათას ლარში)

**30. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)****ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები**

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე დეპოზიტის სამართლიანი ღირებულება გამოდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, 30. რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის სესხებისათვის.

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც უკვე აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით.

**წარმოებული ინსტრუმენტები**

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულია აქტიური ბაზრის მონაცემების გამოყენებით, ძირითადად წარმოადგენს საპროცენტო სვოპებს, სავალუტო სვოპებს და ფორვარდულ სავალუტო კონტრაქტებს. შეფასებისთვის ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდია მოიცავს ფორვარდულ ფასწარმოქმნას, სვოპის მოდელებს, რომლებისთვისაც გამოიყენება მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება. მოდელები შეიცავს სხვადასხვა მონაცემს მხარეთა საკრედიტო რეიტინგის, სავალუტო სვოპების და ფორვარდული კურსისა და საპროცენტო განაკვეთის მრუდის ჩათვლით

**ძირითადი საშუალებები (მიწა და შენობა-ნაგებობები) და საინვესტიციო ქონება**

ქონების საბაზრო ფასი განისაზღვრება აქტიური ბაზრის მონაცემებზე დაყრდნობით. საბაზრო მიდგომა გამოიყენება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით, შემოსავლების მიდგომა გამოიყენება მიღებული შეფასებების დასადასტურებლად, ხოლო დანახარჯების მეთოდი გამოიყენება ქონების ღირებულების განსაზღვრად მაშინ, როდესაც არ არსებობს მსგავსი საკუთრებისთვის იმავე სივრცულ მონაკვეთში მიმდინარე გაყიდვებზე ან საიჯარო განაკვეთებზე ინფორმაცია.

**საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები: გასაყიდად გამიზნული**

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები შეფასებულია შეფასების მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდით. მოდელში შესული არადაკვირვებადი მონაცემი შეიცავს დაშვებებს ინვესტიციის ობიექტის სამომავლო ფინანსური საქმიანობის, დისკონტირების განაკვეთის და ინვესტიციის ობიექტის ზრდის ტემპის შესახებ, ასევე უმცირესობის წილის კორექტირებას კონტროლის არარსებობისა და ლიკვიდურობის შესაბამისად.

დისკონტირების განაკვეთი. დისკონტირების განაკვეთი წარმოადგენს ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში კომპანიისთვისა და შესაბამისი აქტივებისთვის დამახასიათებელი რისკების (რომლებიც არ არის ასახული ფულადი ნაკადების პროგნოზებში) საბაზრო შეფასებას. დისკონტირების განაკვეთის გაანგარიშება დაფუძნებულია კომპანიისათვის სპეციფიკურ გარემოებებზე და მიიღება კაპიტალის ღირებულებიდან, რომელიც იანგარიშება საბაზრო მონაცემებთან შედარების გათვალისწინებით. დისკონტირების განაკვეთის 1%-ით გაზრდა გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების შემცირებას 13 ლარით.

ზრდის ტემპი. ზრდის ტემპი გამოიყენება ინვესტიციის ობიექტში საბოლოო ფულადი ნაკადების გასაანგარიშებლად. დაშვების თანახმად, ზრდის ტემპი სტაბილური დარჩება 2017 წელს და მის შემდეგაც.

ზრდის ტემპის 1%-ით შემცირება გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების შემცირებას 68 ლარით.

(ათას ლარში)

**30. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)**

**უმცირესობის წილის კორექტირება კონტროლის არარსებობისა და ლიკვიდურობის მიხედვით**

უმცირესობის წილის კორექტირება, რომელსაც ჯგუფმა მიმართა კონტროლის არარსებობისა და ლიკვიდურობის გასათვალისწინებლად, შეესაბამება საბაზრო მაჩვენებლებს და ეყრდნობა ბოლო თხუთმეტი და ათი წლის სტატისტიკურ მონაცემებს, შესაბამისად.

კონტროლის არარსებობის მიხედვით უმცირესობის წილის კორექტირების 1%-ით გაზრდა გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების შემცირებას 17 ლარით.

ლიკვიდურობის მიხედვით უმცირესობის წილის კორექტირების 1%-ით გაზრდა გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების შემცირებას 15 ლარით.

**სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მე-3 დონის ფინანსური ინსტრუმენტების დინამიკა**

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული მე-3 დონის ფინანსური აქტივების საწყისი და საბოლოო თანხების შეჯერება:

	<i>2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</i>	<i>სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხული ნამეტი შემოსავალი, სულ</i>	<i>2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>
<b>აქტივები:</b>			
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:			
გასაყიდად გამიზნული	54	2,887	2,941

2016 წლის და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „საკლირინგო ცენტრი“ კაპიტალის ინვესტიცია აღრიცხულია თვითღირებულებით, 54 ლარისა და 54 ლარის ოდენობით, შესაბამისად, და არ არის ასახული სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მესამე დონის ფინანსური ინსტრუმენტების დინამიკაში, ასევე არ არის წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში.

**სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მესამე დონის არაფინანსური აქტივების დინამიკა**

ყველა საინვესტიციო ქონება და გადაფასებული ძირითადი საშუალებები მესამე დონეს მიეკუთვნება. მათი საწყისი და საბოლოო ნაშთების შეჯერება წარმოდგენილია, შესაბამისად, მე-19 და მე-20 შენიშვნებში.

(ათას ლარში)

**30. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)**

არაფინანსური აქტივების შეფასებისთვის გამოყენებული მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემების აღწერა

ქვემოთ ცხრილში მოცემულია მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემების აღწერა, რომლებიც გამოყენებულია 2015 წლის 31 დეკემბრისთვის საინვესტიციო ქონების, გადაფასებული ძირითადი საშუალებების მესამე დონის შეფასებისთვის. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შეფასება მნიშვნელოვნად არ შეცვლილა 2016 წლის 31 დეკემბრამდე ბოლო შეფასების თარიღიდან.

საინვესტიციო ქონება	თანხა	შეფასების მეთოდები	მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემები	დიაპაზონი (საშუალო შეწონილი)	სხვა	დიაპაზონი (საშუალო შეწონილი)	მონაცემების მგრძობიანობა სამართლიანი ღირებულების მიმართ
					მნიშვნელოვანი ინფორმაცია		
<b>საინვესტიციო ქონება</b>	<b>22,118</b>						
მიწა	2,555	საბაზრო მეთოდი	კვ.მ.-ის ფასი	0.00086-0.1269 (0.1264) ლარი	კვ. მეტრი	376-110,000 (8,026)	კვ.მ.-ის ფასის 10%-ით გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას) 217-ით
საცხოვრებელი შენობა	5,670						
	5,066	საბაზრო მეთოდი	კვ.მ.-ის ფასი	0.1-2.9 (0.94) ქართული ლარი	კვ. მეტრი	32.6-819 (182)	კვ.მ.-ის ფასის 10%-ით გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას) 514-ით
კომერციული უძრავი ქონება	604	დანახარჯების მეთოდი	კვ. მეტრის ფასი	0.002-0.31 (0.077) ქართული ლარი	კვ. მეტრი	125-3,316 (293)	კვ.მ.-ის ფასის 10%-ით გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას) 5-ით
	2,114	საბაზრო მეთოდი	კვ. მეტრის ფასი	0.126-0.954 (0.473) კვადრატული ლარი	კვ. მეტრი	16-1,109 (298)	კვ.მ.-ის ფასის 10%-ით გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას) 208-ით
არასაცხოვრებელი შენობა	11,779						
	3,588	საბაზრო მეთოდი	კვ. მეტრის ფასი	0.029-0.973 (0.423) ქართული ლარი	კვადრატული მეტრი	110-10,700 (1990)	კვ.მ.-ის ფასის 10%-ით გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას) 354-ით
	8,191	დანახარჯების მეთოდი	კვ. მეტრის ფასი	0.016-0.97 (0.315) ქართული ლარი	კვადრატული მეტრი	1,252-2,210 (1995)	კაპიტალის კოეფიციენტის 10%-ით ზრდა (შემცირება) გამოიწვევს სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას) 151-ით
<b>გადაფასებული მიწა და შენობები</b>	<b>49,768</b>						
მიწა	9,109	საბაზრო მეთოდი	კვ. მეტრის ფასი	0.384-1.433 (0.850) ქართული ლარი	კვადრატული მეტრი	95-2,290 (612)	კვ.მ.-ის ფასის 10%-ით გაზრდა (შემცირება) გამოიწვევდა სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას) 910-ით
ოფისის შენობა	36,535	საბაზრო მეთოდი	კვ. მეტრის ფასი	0.609-2.755 (24.108) ქართული ლარი	კვადრატული მეტრი	167-4,615 (613)	კვ.მ.-ის ფასის 10%-ით ზრდა (შემცირება) გამოიწვევს სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას) 4,526-ით

(ათას ლარში)

	2,278	დანახარჯე ბის მეთოდი	კვ. მეტრის ფასი	0.49-6.49 (2.97) ქართული ლარი	კვადრატული მეტრი	151-1292 (584)	კაპიტალის კოეფიციენტის 10%-ით ზრდა (შემცირება) გამოიწვევს სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას) 417-ით
არასაცხოვრებელი შენობა	1,510	დანახარჯე ბის მეთოდი	კვ. მეტრის ფასი	0.28 ქართული ლარი	კვადრატული მეტრი	4,190	კაპიტალის კოეფიციენტის 10%-ით ზრდა (შემცირება) გამოიწვევს სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას) 333-ით
კომერციული შენობა	336	დანახარჯე ბის მეთოდი	კვ. მეტრის ფასი	0.79 ქართული ლარი	კვადრატული მეტრი	443	კაპიტალის კოეფიციენტის 10%-ით ზრდა (შემცირება) გამოიწვევს სამართლიანი ღირებულების გაზრდას (შემცირებას) 35-ით

(ათას ლარში)

### 31. კაპიტალთან დაკავშირებული რისკის მართვა

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეებისთვის უკუგების მაქსიმუმაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ხელმძღვანელობა და აქციონერი არ აპირებენ ჯგუფის შემდგომ გაფართოებას და ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია ჯგუფისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება, რადგან ჯგუფს აქვს საკმარისი კაპიტალის ადეკვატურობა და ისტორიული გამოცდილება იმისა, რომ მისი მოკლევადიანი ვალდებულებები დაფინანსდება ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

აქციონერთა საბჭო ყოველწლიურად განიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, საბჭო აფასებს კაპიტალის ღირებულებას და კაპიტალის თითოეულ კლასთან დაკავშირებულ რისკებს. საბჭოს რეკომენდაციებზე დაყრდნობით, ჯგუფი აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გადახდით, ახალი აქციებისა და სავალო ინსტრუმენტების გამოშვებით, ან არსებული ვალის დაფარვით.

ჯგუფის კაპიტალის ადეკვატურობის ასევე კონტროლდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მეშვეობით.

სებ-ის მიერ კაპიტალთან მიმართებაში დღეისათვის დადგენილი მოთხოვნების მიხედვით, ბანკები ვალდებულები არიან: (ა) იქონიონ საწესდებო კაპიტალის მინიმალური დონე 12,000,000 ლარის ოდენობით (ბ) შეინარჩუნონ საზედამხედველო კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი („საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი“) არანაკლებ 11.4%-ის ოდენობით (12% - 2014 წელს), და (გ) შეინარჩუნონ პირველადი კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი („პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი“) არანაკლებ 7.6%-ის ოდენობით (8% - 2014 წელს).

2014 წლის ივნისიდან, ზემოთ მოყვანილი კოეფიციენტების გარდა, ბანკებს ასევე მოეთხოვებათ გამოითვალონ კაპიტალის ადეკვატურობა კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ 2013 წლის 28 ოქტომბრით დათარიღებული დებულების მიხედვით. ამ დებულების თანახმად, ბანკები ვალდებული არიან (ა) დაიცვან ძირითადი პირველადი კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი არანაკლებ 7%-ის ოდენობით, (ბ) დაიცვან პირველადი კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი არანაკლებ 8.5%-ის ოდენობით, (გ) დაიცვან საზედამხედველო კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი არანაკლებ 10.5%-ის ოდენობით.

ჯგუფი შესაბამისობაში იყო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებთან და ყველა სხვა მარეგულირებელ მოთხოვნებთან 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარდა ერთი აუტსაიდერის კოეფიციენტისა, რომელზეც ეროვნული ბანკიდან მიღებულია გაუქმების წერილი. ჯგუფი შესაბამისობაში იყო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებთან და ყველა სხვა მარეგულირებელ მოთხოვნებთან 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ცხრილში წარმოდგენილია სებ-ის მოთხოვნების მიხედვით მომზადებულ ანგარიშებზე დაყრდნობით ბანკი საზედამხედველო კაპიტალის რესურსების ანალიზი კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისთვის. კოეფიციენტები გაანგარიშებულია ბაზელ 1-ის მოთხოვნების მიხედვით:

	2016	2015
პირველადი კაპიტალი	188,506	161,787
მეორადი კაპიტალი	108,049	89,803
გამოკლებული: ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში	(7)	(7)
<b>სულ მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი</b>	<b>296,548</b>	<b>251,583</b>
<b>რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები</b>	<b>2,408,484</b>	<b>1,961,711</b>
პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	7.83%	8.25%
სულ საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	12.31%	12.82%

2016 წლის და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისთვის მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშებაში შეიტანა მიღებული სუბორდინირებული სესხი, რაც არ აღემატებოდა პირველადი კაპიტალის 50%-ს. ბანკის გაკოტრების ან ლიკვიდირების შემთხვევაში, ამ ვალის დაბრუნება სუბორდინირებულია სხვა კრედიტორების წინაშე ბანკის ვალდებულებების დაფარვის მიმართ.



(ათას ლარში)

### 31. კაპიტალთან დაკავშირებული რისკის მართვა (გაგრძელება)

2016 წლის და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკმა კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისთვის მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშებაში შეიტანა ზოგადი ანარიცხები, რაც არ აღემატებოდა რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.25%-ს.

კაპიტალის კოეფიციენტები საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების მიხედვით, კაპიტალის ადეკვატურობასთან დაკავშირებული ახალი დებულების გათვალისწინებით, ასეთია:

	2016	2015
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	10.36%	10.51%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	10.36%	10.51%
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	12.23%	12.71%

ბანკზე ასევე ვრცელდება მინიმალური სავალდებულო კაპიტალის მოთხოვნები, რომლებსაც ადგენენ სასესხო ხელშეკრულებების კრედიტორი მხარეები. 1988 წლის ბაზელის შეთანხმებისა და კრედიტორების მოთხოვნების შესაბამისად გაანგარიშებული ბანკის კაპიტალის კომპონენტები ასე გამოიყურება:

	2016	2015
პირველადი კაპიტალი	284,011	235,954
მეორადი კაპიტალი	53,678	66,890
<b>სულ საზედამხედველო კაპიტალი</b>	<b>337,689</b>	<b>302,844</b>
<b>რისკის მიხედვით შეწონილი კაპიტალი</b>	<b>1,420,350</b>	<b>1,200,676</b>
პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	20.00%	19.65%
სულ საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	23.78%	25.22%

### 32. რისკის მართვის პოლიტიკა

რისკის მართვა ჯგუფის საბანკო საქმიანობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა და ჯგუფის ოპერაციების არსებითი ელემენტია. ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი;
- საოპერაციო რისკი.

მაღალი დონის რისკის პოლიტიკის ასამოქმედებლად და დასაწერად ჯგუფმა შეიმუშავა რისკის მართვის სისტემა, რომლის მთავარი მიზანია არის დაიცავს ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისგან და საშუალება მისცეს მას, მიაღწიოს საქმიანობის მიზნებს. რისკის მართვი სისტემის მეშვეობით ჯგუფი შემდეგ რისკებს მართავს:

#### საკრედიტო რისკი

ჯგუფს აქვს საკრედიტო რისკი, რომელიც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე ერთი მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს.

ბანკი საქმიანობის საკრედიტო რისკის მართვის გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კლიენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კლიენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური კრედიტების ინტენსიურ მართვას.

რისკის მართვა და მონიტორინგი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში. საკრედიტო ლიმიტის თავდაპირველი დაშვება განიხილება ან დამტკიცდება ფილიალების ხელმძღვანელების (მხოლოდ გარკვეული ლიმიტის ფარგლებში), საკრედიტო რისკების მართვის სამსახურის, რისკის მართვის დირექტორის და აღმასრულებელი დირექტორის მიერ.

*(ათას ლარში)***32. რისკის მართვის პოლიტიკა (გაგრძელება)**

პორტფელის შექმნისა და ხარისხის საერთო მართვა და ზედამხედველობა ხორციელდება რისკების კომიტეტის მიერ ყოველ ექვს თვეში ერთხელ.

სესხის პორტფელის ყოველდღიური მართვა ხდება რისკების მართვის დირექტორისა და მისი ზედამხედველობის ქვეშ არსებული დეპარტამენტების/სამსახურების მიერ - კონტრაქტის რისკის განყოფილება, ზედამხედველობისა და შეფასების განყოფილება, ვალების აკრეფის და ანულირების განყოფილება. სასამართლო დავისა და აღსრულების ეტაპებზე პროცესს მართავს ბანკის იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი დავების განყოფილება.

ჯგუფი საკრედიტო რისკების დონეებს განსაზღვრავს რისკის მოცულობაზე ლიმიტების დაწესების გზით, რომელიც მზადაა მიიღოს ცალკეულ მსესხებელზე, მსესხებლების ჯგუფზე ან დარგობრივ სეგმენტზე. საკრედიტო რისკის დონის ლიმიტებს მსესხებლის, დარგისა და პროდუქტის მიხედვით, რეგულარულად გადახედვენ რისკის მართვის გუნდები, პორტფელის შემადგენლობის შეცვლის დროს, და გარეშე ფაქტორების გასათვალისწინებლად, ამასთან, საჭიროების შემთხვევაში მათ დირექტორთა საბჭოც განიხილავს. თითოეული მსესხებლის, მათ შორის ბანკებისა და შუამავლების, დავალიანება დამატებითი იზღუდება ქველიმიტებით, რომლებიც მოიცავს როგორც საბალანსო, ისე გარესბალანსო დავალიანებებს. მათ აწესებს შესაბამისი საკრედიტო ლიმიტის რისკის საბოლოო მიმღები. ამ ლიმიტების ფარგლებში დავალიანების მონიტორინგი ყოველდღიურად წარმოებს.

საჭიროების შემთხვევაში, და სასესხო დავალიანებების უმრავლესობისთვის ჯგუფი ითხოვს უზრუნველყოფას და კორპორატიულ ან პირად თავდებობას. თუმცა, სესხების მნიშვნელოვანი ნაწილი არაუზრუნველყოფილია, შესაბამისად უზრუნველყოფის საგნის მოთხოვნა ვერ ხდება. ასეთი რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად. პორტფელის ზრდისა და ხარისხის სხვადასხვა ასპექტის მონიტორინგი ყოველდღიურად, ყოველკვირეულად ან ყოველთვიურად წარმოებს, შედეგებისა და რისკის სხვადასხვა მაჩვენებლების საფუძველზე.

კრედიტის გაცემის ვალდებულება წარმოადგენს კრედიტის აუთვისებელ ნაწილს სესხების, გარანტიებისა თუ აკრედიტივების სახით. გარესბალანსო ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკი განისაზღვრება, როგორც შესაძლო დანაკარგები იმის გამო, რომ კონტრაქტი ვერ შეძლებს დააკმაყოფილოს ხელშეკრულების პირობები. კრედიტის გაცემის ვალდებულებასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკების დროს ჯგუფს აქვს პოტენციური დანაკარგები მთლიანი გამოუყენებელი ვალდებულებების ოდენობით. თუმცა, დანაკარგების სავარაუდო ოდენობა ნაკლებია გამოუყენებელი ვალდებულებების მთლიან ოდენობაზე, რადგან კრედიტის გაცემის ვალდებულებების უმეტესობა არის პირობითი და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებენ კლიენტები კონკრეტულ საკრედიტო სტანდარტებს; ამასთან, ჯგუფი მუშაობს კრედიტის გადაყვანის კოეფიციენტების პროგნოზირების ეფექტური მოდელის შექმნაზე. ჯგუფი პირობითი ვალდებულებების შემთხვევაშიც იმავე საკრედიტო პოლიტიკას მიმართავს, როგორც საბალანსო ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, ანუ პოლიტიკას, რომელიც ეყრდნობა სესხების გაცემის დამტკიცების პროცედურებს, და რისკის შესამცირებლად ლიმიტების გამოყენებას და მუდმივ მონიტორინგს. ჯგუფი ახდენს გარესბალანსო პირობითი ვალდებულებების ვადების მონიტორინგს, რადგან უფრო ხანგრძლივი ვადის მქონე ვალდებულებებს, როგორც წესი, უფრო მაღალი საკრედიტო რისკი აქვთ, ვიდრე მოკლევადიან ვალდებულებებს.

(ათას ლარში)

### სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნის პოლიტიკა

ბანკი სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვს ანგარიშობს შიდა პოლიტიკაზე დაყრდნობით ყოველთვიურად, შესაბამის განგარიშებს წარუდგენს ხელმძღვანელობას გადასახედად და შემდეგ დასამუშავებლად აწვდის ადგილობრივ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების განყოფილებას.

ბანკი იყენებს წარმოშობილი ზარალის მიდგომას გაუფასურების ანარიცხების გამოსათვლელად, რისთვისაც სამ ძირითად პრინციპს იცავს სესხის გაუფასურების ანარიცხების გამოსათვლელად:

- მთელს საკრედიტო პორტფელში გაუფასურების ანარიცხების შეფასებისათვის, ბანკი იყენებს ადეკვატურ სისტემებს, ისე, რომ ბანკის ზარალის ანარიცხების აგრეგირებული მოცულობა ადეკვატური იყოს წარმოქმნილ საკრედიტო ზარალთან მიმართებაში.
- ბანკი აღიარებს საკრედიტო პორტფელში წარმოქმნილ ზარალს მაქსიმალურად ადრე.
- უზრუნველყოფს საკრედიტო გამოვლინების საკმარის დეტალურობას, რათა სესხის გაუფასურებისათვის შექმნილი რეზერვები იყოს ბანკის საკრედიტო პორტფელის სპეციფიკის შესაბამისი.

ბანკი ანალიზს უკეთებს ყველა საბალანსო ან არასაბალანსო ვალდებულებას იქნება ეს ფიზიკური პირებისადმი თუ იურიდიული პირებისადმი, როცა აფასებს რეზერვების ადეკვატურ დონეს. გარესაბალანსო პორტფელი იყოფა გარანტიებად და გაუცემელ დავალიანებებად.

ბანკი საკუთარ მსესხებლებს აჯგუფებს როგორც მნიშვნელოვანი და არამნიშვნელოვანი მსესხებლების კატეგორიებში გაუფასურების რეზერვის გამოთვლის მიზნებისათვის. ამისათვის იყენებს მთლიანი დავალიანებების წინასწარ განსაზღვრულ ზღვრულ მაჩვენებლებს (მთლიანი დავალიანება შედგება მსესხებლის საბალანსო დავალიანების, გარანტიებისა და გაუნაწილებელი თანხებისაგან, გამოკლებული ფულადი სახსრები, რომლებიც იფარება საბალანსო და არასაბალანსო დავალიანებებზე). ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მსესხებლები გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. დავალიანებები, რომლებიც არ არის ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი გაუფასურებაზე ფასდება კოლექტიურად.

საცალო და არასაცალო კლიენტების მთელი ჯგუფი იყოფა აქტიურ და გაუფასურებულ კატეგორიებად. დავალიანება ითვლება გაუფასურებულად, როცა:

- გაუფასურების ერთი ან მეტი ობიექტური მოვლენა (გაუფასურების მექანიზმები) არსებობს, რომელიც წარმოიშვა დავალიანების თავდაპირველი აღიარების შემდეგ და როცა სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, დისკონტირებული დავალიანების თავდაპირველ ეფექტიან საპროცენტო განაკვეთზე არის უფრო დაბალი, ვიდრე მისი საბალანსო მოცულობა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ხაზგასმულია რაოდენობრივი და ხარისხობრივი მოვლენები გაუფასურების მტკიცებულებისათვის, როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურად შეფასებულ მსესხებლებზე. ამითი უზრუნველყოფილია ზარალის ფაქტის მაქსიმალურად ადრე გამოვლენა (ცხრილი არ არის ამომწურავი, სხვა ფაქტორები შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, თუ ამ ფაქტორებს, რისკის მენეჯერთა ექსპერტული აზრით, მნიშვნელოვან ზარალამდე შეუძლია მიყვანა).

#	გაუფასურების დასადასტურებელი მოვლენები	ინდივიდუალური მნიშვნელოვანი გამოვლენა	კოლექტიურად მნიშვნელოვანი გამოვლენა	რაოდენობრივი/ხარისხობრივი
1	<p>მსესხებელთა ფინანსური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუარესება, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს შემდეგი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გაყიდვების მნიშვნელოვანი კლება</li> <li>• ბერკეტების გაზრდა</li> <li>• ლიკვიდურობის გაუარესება</li> <li>• მსესხებელთა მომგებიანობის გაუარესებე</li> </ul>	X		ხარისხობრივი

(ათას ლარში)

	<ul style="list-style-type: none"> <li>ან სხვა ფაქტორები, რომლებიც ინდივიდუალური მსესხებლისათვის არის დამახასიათებელი</li> </ul>			
2	ვადაგადაცილება სესხზე	X 90დღე	X 90 დღე	რაოდენობრივი
4	გაკოტრების საქმის წარმოება	X		ხარისხობრივი
5	მნიშვნელოვანი კონტრაქტის შეწყვეტა (მომხმარებელი ან მიმწოდებელი)	X		ხარისხობრივი
6	ზარალის კომპანიის მნიშვნელოვანი აქტივების გაყიდვა	X		ხარისხობრივი
7	თალითობის ფაქტები მსესხებლის საქმიანობაში	X		ხარისხობრივი
8	მსესხებლის გარდაცვალება	X		ხარისხობრივი
9	ხელშეკრულების დარღვევა	X		ხარისხობრივი
10	გარესაბაღანსო ვალდებულებების წარმოშობა, რამელთა პროგნოზირება შეუძლებელი იყო და საკრედიტო პროექტით წინასწარ არ ყოფილა განსაზღვრული	X		ხარისხობრივი
11	სამართლებრივი პროცესის წამოწყება, რაც შეიძლება გადაიზარდოს ფულადი სახსრების მნიშვნელოვან გადინებაში	X		ხარისხობრივი

გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების გამოსათვლელად, ბანკი იყენებს მსესხებელზე-დაფუძნებულ მიდგომას კორპორატიული და მცირე-საშუალო ბიზნესის მსესხებლისათვის და დავალიანებაზე-დაფუძნებულ მიდგომას საცალო და მიკრო მსესხებლებისათვის: იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სესხი მიეკუთვნება კორპორატიულ ან მცირე-საშუალო ბიზნესის მსესხებელს და სესხი გაუფასურებულია, ამ მსესხებლის ყველა სესხი ითვლება გაუფასურებულად. რაც შეეხება საცალო და მიკრო მსესხებლებს, მსესხებლის ერთი დავალიანების გაუფასურება არ ნიშნავს სხვა დავალიანებების გაუფასურებასაც. თუმცა, ასეთ შემთხვევებში, ბანკი მსესხებლის დარჩენილ დავალიანებებსაც დაზიანებულად მიიჩნევს და შესაბამისად არეზერვებს მათ.

კოლექტიური შეფასების მიზნებისათვის, დავალიანებები ჯგუფდება მსგავსი რისკის მქონე ჯგუფებში მსგავსი საკრედიტო რისკების მახასიათებლების მიხედვით. ჯგუფის საკრედიტო რისკების საერთო მახასიათებლები მოიცავს შემდეგს (და არა მარტო): კონტრაქტის ტიპი (ინდივიდუალური თუ კორპორატიული), პროდუქტის ტიპი, დავალიანების ძველი სტატუსი, რესტრუქტურის სტატუსი და უზრუნველყოფის ტიპი. ქვემოთ მოცემულია აქტიური პორტფელის სეგმენტაცია აქტიურ და გაუფასურებულ სესხებად, რომლებიც ფასდება კოლექტიურად.

(ათას ლარში)

### 32. რისკის მართვის პოლიტიკა (გაგრძელება)

აქტიური სესხების ჯგუფი შემდეგნაირად იყოფა:

აქტიური სესხების პორტფელი	
კორპორატიული სესხები	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ საეჭვო, მაგრამ არა გაუფასურებული, ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მსესხებლები</li> <li>▪ ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მსესხებლები, რომელთაც გაუფასურების მტკიცებულება არ გააჩნიათ</li> <li>▪ ინდივიდუალურად არამნიშვნელოვანი მსესხებლები</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ საეჭვო, მაგრამ არა გაუფასურებული, ინდივიდუალურად შეფასებული მსესხებლები</li> <li>▪ ინდივიდუალურად, არამნიშვნელოვანი მსესხებლები</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>☐ სრულად აქტიური სესხები</li> <li>☐ აქტიური სესხები დავალიანებაში</li> <li>☐ დაზიანებული სესხები</li> <li>☐ რესტრუქტურისებული სესხები</li> </ul>
მცირე და საშუალო საწარმოების სესხები	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ საეჭვო, მაგრამ არა გაუფასურებული, ინდივიდუალურად შეფასებული მსესხებლები</li> <li>▪ ინდივიდუალურად, არამნიშვნელოვანი მსესხებლები</li> </ul>
საცალო სესხები (იპოთეკური, სამომხმარებლო, განვადებები, საკრედიტო ბარათები)	<ul style="list-style-type: none"> <li>☐ სრულად აქტიური სესხები</li> <li>☐ აქტიური სესხები დავალიანებაში</li> <li>☐ დაზიანებული სესხები</li> <li>☐ რესტრუქტურისებული სესხები</li> </ul>
მიკრო სესხები (აგრო სესხები, ბიზნეს სესხები, სამომხმარებლო სესხები)	<ul style="list-style-type: none"> <li>☐ სრულად აქტიური სესხები</li> <li>☐ აქტიური სესხები დავალიანებაში</li> <li>☐ დაზიანებული სესხები</li> <li>☐ რესტრუქტურისებული სესხები</li> </ul>

გაუფასურებული სესხების ჯგუფი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

გაუფასურებული პორტფელი	
კორპორატიული სესხები	<ul style="list-style-type: none"> <li>☐ ინდივიდუალურად არამნიშვნელოვანი მსესხებლები</li> </ul>
მცირე და საშუალო საწარმოების სესხები	<ul style="list-style-type: none"> <li>☐ ინდივიდუალურად არამნიშვნელოვანი მსესხებლები</li> </ul>
საცალო სესხები (იპოთეკური, სამომხმარებლო, განვადებები, საკრედიტო ბარათები)	<ul style="list-style-type: none"> <li>☐ გამოსწორებული სესხები</li> <li>☐ მიმდინარე დავალიანება</li> </ul>
მიკრო სესხები (აგრო სესხები, ბიზნეს სესხები, სამომხმარებლო სესხები)	<ul style="list-style-type: none"> <li>☐ გამოსწორებული სესხები</li> <li>☐ მიმდინარე დავალიანება</li> </ul>

ქვემოთ მოცემულია თითოეული სეგმენტის დეტალური აღწერა:

#### აქტიური დავალიანებები:

დავალიანებები, რომლებიც აქტიურია ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიაში ხვდება:

- საეჭვო, მაგრამ არა გაუფასურებული, ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მსესხებლები - ეს არის მსესხებლები, რომელთა ინდივიდუალური შეფასება გაკეთდა და გაუფასურების რეზერვი 2%-ზე დაბლა შეფასდა.
- ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მსესხებლები საეჭვო მოვლენის გარეშე- ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მსესხებლები, რომელთა მიმართებაში გაუფასურების მტკიცებულება არ დადგენილა.
- ინდივიდუალურად არა მნიშვნელოვანი მსესხებლები- ეს არის მსესხებლები, რომელთა გაუფასურების კოლექტიური მტკიცებულება დადგეილი არ არის.
- სრულად აქტიური სესხები - სესხები, რომლებიც ვადაგადაცილებაში არ არის ანგარიშგების მომენტისათვის.
- აქტიური სესხები დავალიანებაში- ეს ჯგუფი მოიცავს სესხებს, რომლებიც ვადაგადაცილებაში არიან ანგარიშგების მომენტში, თუმცა არ არიან გაუფასურებული. ამგვარი სესხები შემდეგ კატეგორიებად იყოფა:

სესხები 1-30 დღის ვადაგადაცილებაში

(ათას ლარში)

სესხები 31-60 დღის ვადაგადაცილებაში

სესხები 61-90 დღის ვადაგადაცილებაში

- **დაზიანებული სესხები**- დაზიანებული სესხის სტატუსი საცალო და მიკრო მსესხებლებს ეხება, სადაც ბანკი იყენებს დავალიანებაზე-დაფუძნებულ მიდგომას. დავალიანება ითვლება დაზიანებულად, თუ მოცემული დავალიანება აქტიურია, თუმცა მსესხებელს სხვა დავალიანებაც აქვს, სადაც 90 დღიანი ვადაგადაცილება უფიქსირდება ანგარიშგების მომენტისათვის. ბანკი უზრუნველყოფს, რომ დაზიანებული დავალიანება გამოყენებულ იქნას სულ მცირე იგივე სარეზერვო განაკვეთით, როგორც შესაბამისი აქტიური დავალიანება. ბანკის ექსპერტთა გადაწყვეტილებით, შეიძლება რაიმე დამატებითი ზღვარი დადინდეს, რათა უზრუნველყოფილ იქნას დაზიანებული პორტფელის ადეკვატური უზრუნველყოფა.
- **რესტრუქტურირებული დავალიანებები**- ბანკი ყველა თავის რესტრუქტურირებულ სესხს ერთ პორტფელში გაერთიანებს და შესაბამისად, მოახდენს მათ აღრიცხვას.

**გაუფასურებული დავალიანებები**

დავალიანებები, რომლებიც გაუფასურებულია შემდეგ კატეგორიებად იყოფა:

- **მიმდინარე ვადაგადაცილება**- მიმდინარე დავალიანება შემდეგ სესხებად იყოფა:
  - 90 დღეზე მეტი დავალიანება ანგარიშგების მომენტისათვის
  - დავალიანება, რომელიც ვადაგადაცილებაშია, თუმცა არ არის გამოსწორებული - იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება ვადაგადაცილებაში იყო წარსულში და შემდეგ არ გამოსწორდა (არ გადაიხადეს სრულად ვალდებულება), იგი შევა მიმდინარე ვადაგადაცილებაში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გადაცილებულ დღეთა რაოდენობა 90 დღეზე ნაკლებია.
- **გამოსწორებული დავალიანებები** - სესხები, რომლებიც ვადაგადაცილებაში არიან ითვლებიან გამოსწორებულად, თუ მთლიანი ვადაგადაცილებული თანხა გადახდილია და დავალიანება აღარ არის ვადაგადაცილებაში.

გაუფასურების რეზერვის გამოსათვლელად, ბანკი იყენებს განსხვავებულ მიდგომებს სხვადასხვა ბიზნეს ხაზებისათვის. ინდივიდუალური შეფასება სრულდება მხოლოდ კორპორატიული და მცირე და საშუალო ბიზნესის დავალიანებებისათვის. საცალო და მიკრო სემენტებისათვის, ასევე, არა გაუფასურებული კორპორატიული და მცირე-საშუალო ბიზნესების დავალიანებებისათვის, კოლექტიური შეფასება ხორციელდება.

**კორპორატიული და მცირე და საშუალო მეწარმე მსესხებლების ინდივიდუალური შეფასება**

ბანკი ითვლის, არსებობს თუ არა მტკიცებულება, რომ მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი უფასურდება რეგულარული მონიტორინგის დროს (ყოველ წელს, კორპორატიული კონტრაქტის რისკის შეფასების დეპარტამენტი ადგენს მონიტორინგის გეგმას, სადაც თითოეული მიმოხილვის ინტენსიურობა და რეგულარობა განისაზღვრება თითოეულ მსესხებელზე).

ბანკი საუკეთესო გამოთვლის მეთოდებს იყენებს მომავალში თანხების ამოღების შესაფასებლად. ბანკი ითვლისწინებს ორი ტიპის წყაროს თანხების ამოსაღებად: ნაღდი ფულით ამოღება და/ან სესხის უზრუნველყოფით. ნაღდი ფულით ამოღების შემთხვევაში, სავარაუდო ამოღებული თანხა უდრის ნაღდი ფულის სავარაუდო სამომავლო ნაკადების მიმდინარე ღირებულებას. უზრუნველყოფის ამოღება ასახავს ნაღდი ფულის ნაკადებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სესხის უზრუნველყოფის გაყიდვის შედეგად. ქვემოთ მოცემულია გამოყენებული უზრუნველყოფის ტიპები და გამოთვლილი რეზერვები, მათი რეალიზაციის პერიოდი და შესაბამისი რისკ ფაქტორი.

უზრუნველყოფის ტიპები	რისკის ფაქტორი	რეალიზაციის პერიოდი
მიწა	40%	1 წელი
საცხოვრებელი უძრავი ქონება	30%	1 წელი
არა საცხოვრებელი უძრავი ქონება	30%	1 წელი
ანაზარი	0%	0 წელი

(ათას ლარში)

მომრავი ქონება	50%	1 წ ე ლ
----------------	-----	---------

